# ანგარიში/ 2017

‘17



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

# სარჩევი


5 წინასიტყვაობა
9 ღონისძიებები 2017
28 საერთაშორისო ურთიერთობები
34 კონფერენციები
36 სასაქონლო ნიშანი
38 გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება
40 დიზაინი
42 გამოგონება და სასარგებლო მოდელი
44 მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები
46 საავტორო უფლებები
48 კანონშემოქმედება და სამართალწარმოება
49 საგამომცემლო და საგანმანათლებლო საქმიანობა
50 საზოგადოებასთან ურთიერთობა
53 ფინანსები
54 სტატისტიკური მონაცემები
64 სამოქმედო გეგმა 2017



გამომცემელი:
სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“
(საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილება)
3300, მცხეთა, საქართველო, ანტიოქიის ქ. №5
ტელ.: +995 32 2252533; ელ. ფოსტა: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.gov.ge
https://facebook.com/sakpatenti.ge/

17

# წინასიტყვაობა

ძვირფასო მკითხველო,

2017 წელს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – საქპატენტს, დაარსებიდან 25 წელი შეუსრულდა. წარმოგიდგენთ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის საიუბილეო, 2017 წლის ანგარიშს.



დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება განისაზღვრა, რაც აისახა ქვეყნის კონსტიტუციასა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში. საქართველომ 1992 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის პირველმა შექმნა და აამოქმედა ეროვნული საპატენტო სამსახური ,,საქპატენტი”, რომელიც შემდგომ გარდაიქმნა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრად. დროთა განმავლობაში უწყებაში მთლიანად იქნა კონსოლიდირებული ინტელექტუალური საკუთრების ყველა ძირითადი სფერო: გამოგონება და სასარგებლო მოდელი, სასაქონლო ნიშანი, დიზაინი, გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები, ასევე, საავტორო და მომიჯნავე უფლებები.

დაარსების დღიდან საქპატენტის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელიც დღეს სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, პასუხობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი TRIPS-ის შეთანხმების მოთხოვნებს და ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

დღეისათვის საქართველო მიერთებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ყველა ძირითად კონვენციასა და შეთანხმებას და არის მრავალი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მხარე. გარდა ამისა, საქართველო აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა დონის საერთაშორისო ფორუმების მუშაობაში და არის რიგი მნიშვნელოვანი წინადადებების ინიციატორი.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების გლობალურ სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრაცია წარმოადგენს, რაც დღეს საქპატენტის მთავარი პრიორიტეტია.

უნდა აღინიშნოს, გასულ წლებში საქპატენტის განსაკუთრებით წარმატებული საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე. პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ცენტრალური ევროპის და ბალტიისპირეთის ქვეყნების რეგიონალურ ჯგუფში (CEBS) საქპატენტის გაწევრიანების ფაქტს. ამასთან, 2017 წელს, უწყებამ წარმატებით დაასრულა WIPO-ში ამავე რეგიონული ჯგუფის CEBS კოორდინაცია, რომელსაც ახორციელებდა ერთი წლის ვადით. საქართველოს მიერ გაწეულმა საქმიანობამ მაღალი შეფასებები დაიმსახურა როგორც დელეგაციებისგან, ისე ორგანიზაციის გენერალური დირექტორისგან, რამაც WIPO-ს ფარგლებში საქართველოს დელეგაციის მოღვაწეობა თვისობრივად ახალ საფეხურზე და სხვა ხარისხობრივ კატეგორიაში გადაიყვანა.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს, WIPO-ს გენერალური ასამბლეის 57-ე სესიის მიმდინარეობის დროს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის სპეციალური კავშირის (მადრიდის კავშირი) თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს ინტელექტუალური უწყების ხელმძღვანელი, რომლის კანდიდატურა კავშირის თავმჯდომარის პოზიციაზე წარადგინა ცენტრალური ევროპის და ბალტიის სახელმწიფოთა ჯგუფმა (CEBS). ამასთან, საქართველოს წარმომადგენელი პირველად თავმჯდომარეობდა WIPO-ს კავშირს. ასევე, საქართველო გახდა WIPO-ში ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის ლისაბონის შეთანხმებისა და ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, რაც ასევე საქპატენტის წარმატებული საერთაშორისო აქტიურობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

2017 წელს, WIPO-ს აკადემიისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტი ორგანიზებით, საქპატენტის სასწავლო ცენტრში, WIPO-ს პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, პირველად ჩატარდა ინგლისურენოვანი „საერთაშორისო სასწავლო კურსი გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“. აღნიშნული კურსი განკუთვნილი იყო ამ სფეროში მოღვაწე სხვადასხვა ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისა და შესაბამისი სამინისტროების ექსპერტებისათვის. კურსს 12 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა. ვფიქრობთ, აღნიშნული კურსის წარმატებით ჩატარება არის დასტური იმისა, რომ საქპატენტის დაარსებიდან 25 წლის თავზე, ჩვენ სწავლიდან ეტაპობრივად გადავედით ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების ეტაპზე, რაც გვაძლევს შესაძლებლობას ჩვენი წვლილი შევიტანოთ მოწინავე ქვეყნებთან ერთად, ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარების საქმეში.

გასული წელი აღინიშნა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებით. 2017 წლის 23 დეკემბერს, პარლამენტმა მიიღო საქპატენტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მომზადდა საქართველოსა და ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით. ამასთან, საქპატენტში კვლავ აქტიურად გრძელდება მუშაობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შემდგომი დახვეწის მიზნით.

გასული წელი გამოირჩეოდა გლობალური პროექტების განხორციელების თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით წარმატებული იყო სხვადასხვა პროექტი, რომელიც განხორციელდა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან ერთად. კერძოდ, მოხდა EUIPO-ს მონაცემთა ბაზებში TM View და DS View საქპატენტის სასაქონლო ნიშნების და დიზაინების მონაცემთა ბაზების ინტეგრირება, რითაც უცხოელ მომხმარებლებს საშუალება მიეცათ საქართველოში რეგისტრირებული ნიშნების შესახებ ინფორმაცია EUIPO-ს ვებგვერდიდან მოიძიონ. ქართველ მომხმარებლებს კი შესაძლებლობა გაუჩნდათ EUIPO-ს მონაცემთა ბაზებში ძიება ქართული ინტერფეისის გამოყენებით განახორციელონ. საქპატენტი, ასევე, მიუერთდა TMclass-ის პროგრამას, რომელიც საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის 42 ენაზე ძიებისა და თარგმნის საშუალებას იძლევა.

ამასთან, საქპატენტმა დაგეგმა და განახორციელა რამდენიმე პროექტი ელექტრონული მართვისა და საქმისწარმოების განსავითარებლად. შედეგად, საქპატენტში შესაძლებელი გახდა ყველა ობიექტზე განაცხადების ელექტრონულად მიღება და დამუშავება, ხოლო განმცხადებლებს საშუალება მიეცათ აწარმოონ განაცხადების ონლაინ მონიტორინგი. USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, გაგრძელდა HICD 2020-სთან (Human and Institutional Capacity Development) თანამშრომლობა. პროექტის დასრულებისას, საქპატენტს ექნება გაუმჯობესებული სტანდარტული სამოქმედო პროცედურები, კადრების შეფასების, მართვის და განვითარების მექანიზმები და ინდიკატორები, ასევე, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დახვეწილი პროცესები.

ასევე აღსანიშნავია, რომ გასულ წელს საქპატენტის მიერ ჩატარებულმა აქტიურმა მუშაობამ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობისა და დარგის პოპულარიზაციის კუთხით, თავისი შედეგები გამოიღო, რაც გამოიხატება მოსახლეობის მხრიდან ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართ მზარდ ინტერესში და საქპატენტში წარდგენილი განაცხადების რაოდენობის ზრდაში.

ვფიქრობთ, 2017 წელს საქპატენტმა თავისი 25 წლიანი იუბილე მნიშვნელოვანი მიღწევებით აღნიშნა. ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ აქტიურ მუშაობას ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარების მიმართულებით და ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც წარმატებით გავართმევთ თავს ჩვენს წინაშე მდგარ გამოწვევებს.

**ნიკოლოზ გოგილიძე – თავმჯდომარე**
სსიპ საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“











’17























‘17

# ღონისძიებები

# ღონისძიებები/ 2017

## იანვარი

1



ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) პროგრამაში – “Madrid Felloship Program 2017” მონაწილეობის მისაღებად მივლინებულ იქნა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ანა დალაქიშვილი. მან მუშაობა დაიწყო WIPO-ს მადრიდის დეპარტამენტის საერთაშორისო ნიშნების განყოფილებაში, სადაც ატარებს სასაქონლო ნიშნის ფორმალურ ექსპერტიზას WIPO-ს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით. პროგრამა 2-წლიანია და მიზნად ისახავს წევრი ქვეყნების ეროვნული საპატენტო უწყებების სასაქონლო ნიშნების ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლებასა და საერთაშორისო სტანდარტით გადამზადებას, რაც მნიშვნელოვანია სასაქონლო ნიშნების ეროვნული დონის ფორმალური ექსპერტიზის განვითარებისთვის (ჟენევა, შვეიცარია).

---

## თებერვალი

27



საქართველოს დელეგაციამ პირველად მიიღო მონაწილეობა, როგორც CEBS-ს 2017 წლის არჩეულმა კოორდინატორმა WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრებისა და გენეტიკური რესურსების, ტრადიციული ცოდნისა და ფოლკლორის სამთავრობათაშორისო კომიტეტის 33-ე სხდომაში. კომიტეტის მიზანია WIPO-ს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების პოზიციების დაახლოება და საბოლოო შეთანხმების მიღწევა საერთაშორისო შეთანხმების ტექსტზე, რომელიც უზრუნველყოფს ტრადიციული კულტურული გამოხატულებების ეფექტურ დაცვას (ჟენევა, შვეიცარია).

---

27



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი 2017 წელსაც იყო ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ ორგანიზებული კონკურსის „ათასწლეულის ინოვაცია“ მხარდამჭერი. კონკურსი მიზნად ისახავდა ახალგაზრდების წახალისებას ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნისთვის. ტრადიციულად, საქპატენტმა დააჯილდოვა მესამე ადგილზე გასული გუნდი „ძმები ბუთბაიები“ – კომაროვის 199-ე საჯარო სკოლისა და სკოლა-ლიცეუმის „მწიგნობართუხუცესი“ მოსწავლეები კოსტა და გიორგი ბუთბაიები პროექტისათვის „ოპტიმიზირებული პარკინგის სისტემა – Smart Parking“ და გადასცა მათ ტექნიკის მაღაზიის 300 ლარიანი სასაჩუქრე ბარათი.

---

28



აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის პროგრამის CLDP-ს მიწვევით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ექსპერტები, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ეწვივნენ აშშ-ს საპატენტო უწყებას. ქართველმა სპეციალისტებმა გაიარეს 10 ლექციისგან შემდგარი კურსი სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის თემაზე, ასევე, გაეცნენ ამერიკელი კოლეგების გამოცდილებას ისეთი არატრადიციული ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, როგორიცაა: ფერი, ასევე, ხმოვანი და სურნელოვანი ნიშნები (ალექსანდრია, ვირჯინია, აშშ).

# მარტი

**2**



გაიმართა სტამბოლის გამოგონებების საერთაშორისო გამოფენა, სადაც, 24 ქვეყნის 264 ორგანიზაციასთან ერთად, წარმოდგენილი იყო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი. ღონისძიება ჩატარდა თურქეთის მეცნიერების, მრეწველობისა და ტექნოლოგიების სამინისტროსა და გამომგონებლების საერთაშორისო ფედერაციის პატრონაჟით, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა და თურქეთის საპატენტო უწყების ორგანიზებით. ამ გამოფენაში საქპატენტის მონაწილეობის მიზანი იყო ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყნის – თურქეთის მხრიდან საქართველოსთვის საპატენტო განაცხადების რაოდენობის გაზრდის ხელშეწყობა (სტამბოლი, თურქეთი).

---

**2**



გაიმართა ორმხრივი შეხვედრა თურქეთისა და საქართველოს საპატენტო უწყებების ხელმძღვანელებს შორის. ნიკოლოზ გოგილიძემ და ჰაბიბ ასანმა განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიმდინარე პროექტები და დასახეს სამომავლო გეგმები. მათ შორის: თურქი ექსპერტების საქართველოში ვიზიტი ქართველი კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, გეოგრაფიული აღნიშვნების რეგიონული კონფერენციის გამართვა ტრაბზონში და თურქული და ქართული გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქციის გამოფენა აღნიშნული პროდუქციის ცნობადობის და იმპორტის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, WIPO-ს და თურქპატენტის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში ქართველი ექსპერტის მონაწილეობა (სტამბოლი, თურქეთი).

---

**2**




სტამბოლის გამოგონებების საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში, საქართველოსა და თურქეთის საპატენტო უწყების ორგანიზებით, გაიმართა ქართველი და თურქი პატენტრწმუნებულების შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოსა და თურქეთის ინტელექტუალური საკუთრების სისტემების გაცნობას და თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც ხელს შეუწყობს განაცხადების რაოდენობის ზრდას ორ ქვეყანას შორის (სტამბოლი, თურქეთი).

---

**6**



მოლდოვას ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სააგენტოს (AGEPI) სამუშაო ვიზიტით ეწვია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარე. ვიზიტი მიზნად ისახავდა მოლდოვასა და საქართველოს შორის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. საქართველოსა და მოლდოვას პარტნიორობა მიმართულია ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარებაზე, ორი ქვეყნის ინტერესების საერთაშორისო დონეზე დაცვასა და ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო კანონმდებლობასთან დაახლოებაზე, რაც ერთობლივი ძალისხმევით უფრო ეფექტიანი და შედეგიანი იქნება. ვიზიტის დროს განხილულ იქნა სამრეწველო საკუთრების ობიექტების დაცვასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები, შეფასდა საქპატენტსა და AGEPI-ს შორის თანამშრომლობის მიმდინარე ეტაპი და განისაზღვრა ორ უწყებას შორის თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები (კიშინიოვი, მოლდოვა).

---

**7**




საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარე შეხვდა მოლდოვას სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრს ედუარდ გრამასა და მოლდოვას ვაზისა და ღვინის ეროვნული სამსახურის დირექტორს გეორგ არჰენტინს. შეხვედრის მიზანი იყო მოლდოვასა და საქართველოს შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმების შესაძლებლობის განხილვა (კიშინიოვი, მოლდოვა).

**13**

დიზაინის სამართლებრივი დაცვის თანამედროვე მიდგომებისა და ტენდენციების გაცნობის მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში „ინოვაციურობა და შემოქმედობითობა ეკონომიკისთვის: კარგ ფორმაში“. შეხვედრაზე, რომლის ორგანიზატორი იყო WIPO და პოლონეთის რესპუბლიკის საპატენტო უწყება, განხილულ იქნა სხვადასხვა ინდუსტრიაში დიზაინის გამოყენებით წარმატებული პროექტები (ვარშავა, პოლონეთი).

---

**15**



WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების დისტანციური სწავლების ზოგადი კურსის (DL-101) ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, კურსის გადამუშავებისა და სწავლების მეთოდოლოგიის გასაცნობად, გაიმართა ქართველი ტრენერების ტრენინგი. WIPO-ს მოწვეულმა ექსპერტმა მონაწილეებთან განიხილა, ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის თავისებურებების გათვალისწინებით, კურსის მიზნების განსაზღვრისა და თემატიკის დამუშავების ასპექტები. კურსის DL-101 ქართული ვარიანტის შემუშავების შემდეგ, აღნიშნული კურსი განთავსდება WIPO-ს აკადემიის პლატფორმაზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება უსასყიდლოდ გაიაროს დისტანციური კურსი ქართულ ენაზე.

---

**15**



ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის ორგანიზებით მოეწყო სემინარი „რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძვლებსა და დიზაინზე“, რომელსაც დაესწრო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ექსპერტი. სემინარი მიზნად ისახავდა სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის სისტემის, მიმდინარე სიახლეებისა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების პრაქტიკის გაცნობას და სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის ექსპერტის კვალიფიკაციის ამაღლებას (ალიკანტე, ესპანეთი).

---

**19**

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო WIPO-სა და ისრაელის საპატენტო უწყების მიერ ორგანიზებულ ტრენინგს, რომელზეც განიხილეს საინფორმაციო ტექნოლოგიებში მიმდინარე პროცესები, პატენტუნარიანი ობიექტის განსაზღვრა ისრაელის საპატენტო ოფისის, WIPO-ს, EPO-სა და USPTO-ს მიდგომებით (იერუსალიმი, ისრაელი).

---

# აპრილი

**4**

გაიმართა კონფერენცია „საავტორო უფლებები ციფრულ სამყაროში“, რომელზეც მოხსენებით წარსდგა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილე სოფიო მუჯირი. WIPO-სა და უნგრეთის საპატენტო უწყების მიერ ორგანიზებული კონფერენცია მიზნად ისახავდა ციფრულ სამყაროში საავტორო უფლებებით დაინტერესებული პირების ცოდნის გაღრმავებასა და ეკონომიკური შესაბამისობის გაცნობას (ბუდაპეშტი, უნგრეთი).

---

**10**

ლიტვის საპატენტო უწყებისა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე „ინტელექტუალური საკუთრება და განათლება“ მოხსენებით წარსდგა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილე სოფიო მუჯირი. კონფერენცია მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას იმ უნარებისა და ცოდნის შესახებ, რაც ახალგაზრდა თაობამ უნდა მიიღოს სკოლაში ან დამატებით გაკვეთილებზე, მათთვის ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობის გაცნობასა და, ასევე, საკუთარი და სხვისი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების პატივისცემის ჩამოყალიბებას. კონფერენციის მონაწილეები გაეცნენ, აგრეთვე, საქართველოს საპატენტო უწყების მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროექტებს, კერძოდ, დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის შემუშავებულ დამატებით საკითხავ ლიტერატურასა და სპეციალურ გაკვეთილებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე (ვილნიუსი, ლიტვა).

12



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტისა და ადვოკატთა ასოციაციის თანამშრომლობის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა საქპატენტის თავმჯდომარესა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს შორის. შეხვედრაზე ასოციაციის წევრებს წარედგინათ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი, რაც მიზნად ისახავდა ადვოკატთა მოსაზრებების მოსმენას დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით.

17




საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მოლდოვას რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სააგენტო (AGEPI) მიერ ორგანიზებულ „AGEPI Readings“-ის მე-13 კონფერენციის მუშაობაში, რომელიც ყოველწლიურად ტარდება და წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებულ საკითხებზე დებატებისათვის განკუთვნილ პლატფორმას. მან კონფერენციის მონაწილეებს გააცნო საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ინოვაციების მხარდაჭერის შესახებ (კიშინიოვი, მოლდოვა).

20



საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საპატენტო უწყების მიერ ორგანიზებული სემინარის „ინტელექტუალური საკუთრების წინასწარი დიაგნოსტიკა“ მუშაობაში, რომელიც მიზნად ისახავდა გამოცდილების გაზიარებას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ინტელექტუალური საკუთრების შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. სემინარზე განიხილეს: ინტელექტუალური საკუთრების წინასწარი დიაგნოსტიკის (IP pre-diagnosis) არსი და მნიშვნელობა, ასევე, კაზუსები, პრაქტიკული მაგალითები, Role play, ხარისხისა და პროცესის კონტროლი, შეფასება და სხვა. სემინარის შემდგომ ევროპის საპატენტო უწყების წარმომადგენლებმა დახმარება გაუწიეს საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებს IP pre-diagnosis ეფექტიან განხორციელებაში (ვენა, ავსტრია).

21



ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სკოლის მოსწავლეთათვის ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტში „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „ინოვაცია ცხოვრების გაუმჯობესებისთვის“. 15-16 წლის ასაკის მოსწავლეებს უწყების ხელმძღვანელი ესაუბრა ინტელექტუალური საკუთრების როლსა და მნიშვნელობაზე თანამედროვე მსოფლიოში. ასევე, განიხილეს გამოგონებისა და სასაქონლო ნიშნების სამართლებრივი დაცვის საკითხები.

24



თურქეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, გამოცდილების გაზიარების მიზნით, თურქპატენტის ექსპერტთა ჯგუფი ეწვია საქართველოს. სამუშაო შეხვედრაზე სტუმრებმა ქართველ კოლეგებს გააცნეს სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის და დაცვის მექანიზმები.

24



საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია თურქეთის პატენტრწმუნებულთა ასოციაციის დელეგაცია საქართველოს ტერიტორიაზე თურქი ბიზნესმენებისთვის მათი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. საქპატენტში გამართულ შეხვედრაზე სტუმრებმა, საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციის წევრებთან ერთად, იმსჯელეს იმ გამოწვევებზე, რასაც თურქეთის ბიზნესსექტორის წარმომადგენლები აწყდებიან საქართველოში.

25



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი გადავიდა ელექტრონული ფაილინგის ახალ სისტემაზე (იხ.: online.sakpatenti.ge). ახალ სისტემაზე გადასვლით განმცხადებლებს მიეცათ საშუალება ელექტრონულად მართონ მიმდინარე საქმეები.

26



ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღესთან – 26 აპრილთან დაკავშირებით, მთელი საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების 2000-მდე მოსწავლეს ჩაუტარდა სპეციალური გაკვეთილები, რაც მიზნად ისახავდა მოსწავლეებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არსისა და მნიშვნელობის გაცნობიერებას. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტთან (USAID/G-Pried) თანამშრომლობითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ყოველ წელს მუშავდება IV-V კლასებისათვის სპეციალური გაკვეთილის გეგმა და საჯარო სკოლებს ეგზავნებათ რეკომენდაცია შესაბამისი გაკვეთილის ჩასატარებლად.

26




ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღესთან – 26 აპრილთან დაკავშირებით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტმა, როგორც ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელმა, ჩაატარა კამპანია, რომელიც მიაზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას იმის შესახებ, რომ ინოვაციები აქცევს პრობლემებს პროგრესად, ჩვენს ცხოვრებას ხდის უფრო ჯანმრთელს, უსაფრთხოსა და კომფორტულს, ხოლო ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინოვაციებისა და ინვესტორების მოზიდვას.

## მაისი

1



საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი პასკალ ბერნარდონი, რომელმაც საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ბაზაზე არსებული სასწავლო ცენტრის ტრენერებისთვის ჩაატარა ტრენინგის ციკლის მესამე ეტაპი (მოდული III). აღნიშნული ტრენინგის მიზანი იყო ტრენერების გადამზადება სასაქონლო ნიშნების და გეოგრაფიული აღნიშვნების კურსის შემუშავებასთან დაკავშირებით.

2



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სახელმწიფო ადმინისტრაციის (SAIC) სასაქონლო ნიშნების უწყებამ მიიღო წინასწარი გადაწყვეტილება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე ქართული მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების „ნაბეღლავი“ რეგისტრაციის შესახებ.
ქართული მინერალური წყლის დასახელება „ნაბეღლავი“ ჩინეთში რეგისტრირებული იყო არაკეთილსინდისიერი განზრახვით ორი ჩინური კომპანიის სახელზე, რის გამოც საქპატენტმა ჩინეთის სასაქონლო ნიშნების უწყების დავების განმხილველ ორგანოში შეიტანა საჩივრები და მოითხოვა აღნიშნული რეგისტრაციების გაუქმება.

## 5




საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის – საქართველოსა (MCA-Georgia) და საქართველოში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (SDSU-Georgia) ორგანიზებით გამართულ ყოველწლიურ დასაქმებისა და სტაჟირების ფორუმში, სადაც შეხვდნენ წარმატებულ სტუდენტებს და გააცნეს მათ საქპატენტში სტაჟირების და დასაქმების შესაძლებლობები.

## 11



ევროკავშირის ინოვაციებისა და კვლევების პროგრამის „Horizon 2020“-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (VIP4SME) ფარგლებში, საქპატენტის ხელმძღვანელმა პირებმა მოაწყვეს საინფორმაციო შეხვედრა მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებისათვის. შეხვედრა მიზნად ისახავდა ქართველი მეწარმეების დახმარებას ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შემუშავებასა და მის მენეჯმენტში, რაც ხელს შეუწყობს ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და ეკონომიკური ღირებულების შექმნას.

## 12



გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენლები დაესწრნენ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მომუშავე ოფიციალური პირებისთვის განკუთვნილ სამუშაო შეხვედრას, რომლის ორგანიზატორი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების უწყება. შეხვედრაზე განიხილეს ორგანიზატორი ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემა და კანონმდებლობა.

## 15



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ექსპერტმა მონაწილეობა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო უწყების (SIPO) ორგანიზებით გამართულ სემინარში „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ“. სემინარზე განიხილეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საპატენტო სისტემა, საპატენტო განაცხადებისა და ექსპერტიზის პროცედურები (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა).

## 24



ინტელექტუალური საკუთრების უფლებების პრაქტიკის საერთაშორისო მონაცემთა ბაზა „დართს-აიპი“ (Darts ip) ხელმისაწვდომი გახდა საქპატენტის ექსპერტებისთვის. Darts ip და საქპატენტი ამ დღიდან გაცვლიან ინფორმაციას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში არსებული პრაქტიკის შესახებ. კერძოდ, საქპატენტის თანამშრომლებს საშუალება მიეცათ უფასოდ და შეუზღუდავად გამოიყენონ Darts ip-ს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემთა ბაზა. საქპატენტი, თავის მხრივ, სისტემატურად უზიარებს Darts ip-ს საქპატენტის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამოქვეყნებულია საქპატენტის ვებგვერდზე, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებათა არქივში. თავის მხრივ, Darts ip უზრუნველყოფს მიწოდებული დოკუმენტების განთავსებას საკუთარ მონაცემთა ბაზაში.

## 31




საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილე სოფიო მუჯირი მოხსენებით წარსდგა ყოველწლიურ კონფერენციაზე „IPMACT 2017“. მან მიიღო მონაწილეობა დისკუსიაში, რომელიც ეხებოდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს და მათ მნიშვნელობას შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსებისას (ვარშავა, პოლონეთი).

# ივნისი

**1**




საქართველოს მოქალაქეებს და რეზიდენტებს შესაძლებლობა მიეცათ საერთაშორისო საპატენტო განაცხადი (PCT განაცხადი) საქპატენტში შეიტანონ ელექტრონულად, ePCT პლატფორმის გამოყენებით. საქპატენტი, როგორც PCT სისტემის მიმღები უწყება (RO), ჩაერთო აღნიშნულ პლატფორმაში. ePCT სისტემის საშუალებით შესაძლებელია საერთაშორისო განაცხადის შეტანა, დამუშავება, უწყებებს შორის გადაგზავნა და განმცხადებელთან კომუნიკაცია ელექტრონულ ფორმატში.

---

**5**



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტისა და ევროპის იურისტ სტუდენტ-თა ასოციაციის ორგანიზებით და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) დაფინანსებით, მოეწყო ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სკოლა, რომ-ლის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტებს საქპა-ტენტის წარმომადგენლებმა გააცნეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვისა და აღსრულების სამარ-თლებრივი მექანიზმები (ბორჯომი, საქართველო).

---

**9**



თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაიმართა ინტე-ლექტუალური საკუთრების თემაზე იმიტირებული სასა-მართლო პროცესები, რომელშიც მონაწილეობდნენ სა-ქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის იურიდიული ფა-კულტეტის საუკეთესო სტუდენტები. იმიტირებული სასა-მართლო პროცესების კაზუსები ეხებოდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებით საფუძვლებს. ღო-ნისძიება მიზნად ისახავდა გამარჯვებულების გამოვლენას, რომლებიც გაივლიდნენ სამთვიან სტაჟირებას საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტი.

---

**12**



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო პროექტში „ინოვაციების ბანაკი“, რომლის მიზანი იყო 15-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებში ინოვაციური აზროვნების განვითარება და სამეწარმეო საკითხებში ცნობიერების ამაღლება. „ინოვაციების ბანაკში“ მონაწი-ლეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 100-ზე მეტი სკოლის მოსწავლე. ღონისძიება ჩატარდა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სა-ხელობის ქართულ უნივერსიტეტში, „USAID"-ის პროექტის „აღმოსავლეთ ევროპაში სამეწარმეო საქმიანობის შესახებ განათლების ხელშეწყობა“ და ორგანიზაცია “Junior Achievment”-ის ინიციატივით.

---

**12**



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის მიერ ორგანიზებულ სემინარში „რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძვლებსა და დიზაინზე“. შეხვედრაზე განიხილეს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების სისტემა, სიახლეები და არატრადიციული ნიშნების რეგისტრაციის თავისებურებები (ალიკანტე, ესპანეთი).

---

**13**



საქართველოს ორდღიანი ვიზიტით ეწვია WIPO-ს გენერალური დირექტორის მოადგილე ჯონ სენდეიჯი, რომელიც შეხვდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარეს ნიკოლოზ გოგილიძეს. საუბარი შეეხო WIPO-ს როლს საქპატენტის საქმიანობაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების კუთხით, უწყებაში მიმდინარე პროცესებსა და სამომავლო გეგმებს.

**14**



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის დაარსებიდან 25 წლის აღსანიშნავად, სასტუმრო „ბილტმორის“ დარბაზში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით: „ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება ეკონომიკური განვითარებისთვის“. კონფერენციაზე იმსჯელეს ინტელექტუალური საკუთრების მზარდ როლზე თანამედროვე ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში და ინოვაციის ხელშეწყობის აუცილებლობაზე ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებისათვის.

---

**14**

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სახელმწიფო ადმინისტრაციასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ – საქპატენტს შორის. მემორანდუმს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ხელი მოაწერეს ჩინეთის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ გან ლინმა და საქპატენტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოგილიძემ.

---

**14**




საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის დაარსებიდან 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად გაიმართა საზეიმო მიღება თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში. 25 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, მიღებაზე დაჯილდოვდნენ ყველაზე მეტი ადგილობრივი პატენტის მფლობელი გამომგონებლები, ქართული კომპანიები, რომლებიც ლიდერობენ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განაცხადების რაოდენობით და, ასევე, პატენტრწმუნებულები.

---

**17**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო UPOV-ის ტექნიკური კომიტეტის მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების სამუშაო ჯგუფის 46-ე სესიის მუშაობაში, სადაც განიხილეს TGP დოკუმენტებისა და გაიდლაინების მომზადება სხვადასხვა კულტურებზე, ერთგვაროვნების კრიტერიუმის განსაზღვრა, მინიმალური სხვაობა ჯიშებს შორის და, ასევე, ზრდის ციკლების რაოდენობა DUS გამოცდისას (ჰანოვერი, გერმანია).

---

**19**

მადრიდის სისტემის სამართლებრივი განვითარების შესახებ WIPO-ს მიერ ორგანიზებულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრას დაესწრო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელი. სამუშაო შეხვედრაზე შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები გარკვეულ მუხლებში ცვლილებებთან დაკავშირებით (ჟენევა, შვეიცარია).

---

**20**



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტი მონაწილეობა მიიღო კრეატიული სტარტაპების საქართველოს მეორე ჩემპიონატში „Creative Business Cup Georgia (CBC) 2017“. ჟიურის შემადგენლობაში ყოფნის გარდა, პროექტების წინასწარი შეფასების მიზნით, უწყებამ ჩაატარა წინასწარი საპატენტო ძიება 40 განაცხადზე, რომელთაგან შეირჩნენ საპრიზო ადგილების მფლობელებიც.

---

**29**



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტი WIPO-ს წარმომადგენელმა ჩაატარა ორდღიანი ტრენინგი ePCT (Patent Cooperation Treaty – საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება) პლატფორმის გამოყენების შესახებ, რის საშუალებითაც შესაძლებელია საერთაშორისო განაცხადის შეტანა, დამუშავება, უწყებებს შორის გადაგზავნა და განმცხადებელთან კომუნიკაცია ელექტრონულ ფორმატში. ტრენინგის პირველ დღეს ePCT პლატფორმის შესახებ ვრცელი ინფორმაცია მიიღეს საქპატენტის გამოგონების და ახალი ჯიშების დეპარტამენტის ფორმალური ექსპერტიზის სამსახურის ექსპერტებმა, ხოლო მეორე დღეს – WIPO-ს წარმომადგენელმა აღნიშნულ ელექტრონულ სისტემაზე ინფორმაცია გააცნო პატენტრწმუნებულებსა და განმცხადებლებს.

30



საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის განვითარების მნიშვნელობა გააცნო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ხელმძღვანელმა პირმა, გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ მსოფლიო სიმპოზიუმის მონაწილეებს. სიმპოზიუმი ორგანიზებული იყო WIPO-სა და SAIC-ის მიერ და მიზნად ისახავდა ფორუმის მოწყობას გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე, ტექნიკური წვდომის უზრუნველყოფას და ინფორმაციის გაზიარებას გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროში უახლესი მიღწევების შესახებ (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა).

## ივლისი

6



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოვლინდნენ ინტელექტუალური საკუთრების სამართალში იმიტირებული სასამართლო პროცესის შეჯიბრში გამარჯვებულები, რომლებმაც მოიპოვეს სამთვიანი სტაჟირების გავლის უფლება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტში. საქპატენტისა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) ორგანიზებით ჩატარებული იმიტირებული სასამართლო პროცესის მიზანი იყო მომავალი იურისტების ცოდნის გაღრმავება ინტელექტუალური საკუთრების სამართალში, კერძოდ, სტუდენტებისთვის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვის სამართლებრივი ასპექტებისა და ამ სფეროში უფლებების აღსრულების მექანიზმების გაცნობა.

7



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრა ქართველ მეწარმეებთან და გააცნეს ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. შეხვედრის მიზანი იყო ქართველი მეწარმეების დახმარება ინტელექტუალური საკუთრების პორტფელის შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდას და არამატერიალური აქტივების სახით დამატებითი ეკონომიკური ღირებულების შექმნას. შეხვედრა გაიმართა ევროკავშირის ინოვაციებისა და კვლევების პროგრამის „Horizon 2020“-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (Value of Intellectual Property for SMESVIP4SME) ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საინფორმაციო, სამუშაო და პირისპირ შეხვედრების გამართვას.

10



შედგა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის დელეგაციის ტექნიკური ვიზიტი ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციაში (EUIPO), რომელიც მიზნად ისახავდა EUIPO-სა და საქპატენტის ელექტრონული მმართველობის სისტემური განვითარებისა და ინტეგრაციის ერთ-ერთ ეტაპს. სამი კომპონენტის (TM View, TM Class და DS View) წარმატებით ინტეგრირებამ გააჩინა დამატებით შვიდი სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტის ინტეგრირების შესაძლებლობა. დელეგაცია გაეცნო ახალი ინსტრუმენტების ტექნიკურ დეტალებს და ადგილზე შეიმუშავა სამოქმედო გეგმა (ალიკანტე, ესპანეთი).

**10**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილემ სოფიო მუჯირმა მონაწილეობა მიიღო ინტელექტუალური საკუთრების უწყებების აღმასრულებელთა შეხვედრის კვირეულში. 5 დღის განმავლობაში აღმასრულებლები მსჯელობდნენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მომავალ პერსპექტივებსა და სამართლებრივი რეფორმის განხორციელებაზე, ასევე, გაეცნენ ევროპის საპატენტო სისტემის სიახლეებს. აღმასრულებელთა კვირეული ყოველწლიური შეხვედრაა, რომელიც ორგანიზებულია ევროპის საპატენტო უწყებისა (EPO) და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) მიერ (ალიკანტე, ესპანეთი).

---

**13**


"TMZC19106480D01T170807"
第 19106480 号
商标注册证
（证明商标）
该商标使用管理规则详见第1559期《商标公告》
NABEGHLAVI

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სახელმწიფო ადმინისტრაციის (SAIC) სასაქონლო ნიშნების უწყების მიერ დარეგისტრირდა ქართული მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელება „ნაბეღლავი“. სავალდებულო პროცედურების გავლის შემდეგ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასაქონლო ნიშნების უწყების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა ადგილწარმოშობის დასახელება „ნაბეღლავი“. „ნაბეღლავი“-ს დასახელებაზე განსაკუთრებული უფლება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიენიჭა. ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვა როგორც ჩინეთში, ისე სხვა ქვეყნებში გავლენას მოახდენს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და ხელს შეუწყობს ქართული მინერალური წყლების ცნობილი დასახელებების უკანონო გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას.

---

**13**



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მე-14 საერთაშორისო კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა – რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში გამართულ სესიაში სახელწოდებით „ასოცირების შესახებ შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე: საქართველოს მომავალი“. სესიაზე განიხილეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ძირითადი პრიორიტეტები და ის მიღწევები, რომელიც საქართველოს აქვს DCFTA-ის აღებული ვალდებულებების ფარგლებში (ბათუმი, საქართველო).

---

**20**



გაიმართა რიგით მე-3 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“, რომლის მიზანი იყო საჯარო და კერძო სექტორის დიალოგის გაძლიერება კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან მიმართებაში. ეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმებთან დაკავშირებით და უცხო ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და განვითარების საქმეში (ბათუმი, საქართველო).

---

**20**



შედგა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ნიკოლოზ გოგილიძისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო უწყების (SIPO) კომისრის მოადგილის ჰე ჟემინის შეხვედრა. მხარეებმა განიხილეს ორ უწყებას შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები და დასახეს სამომავლო გეგმები. შეხვედრის დასასრულს, უწყებებს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში, ხელი მოეწერა ორწლიან სამოქმედო გეგმას (2017-2018 წწ.). მძლავრ საპატენტო ოფისთან მჭიდრო კავშირები ხელს შეუწყობს საქპატენტის საქმიანობის უკეთ წარმართვას და საქართველოს საპატენტო სისტემის განვითარებას (ბათუმი, საქართველო).

**24**




ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციისა (ELSA) და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ორგანიზებით გაიხსნა სამართლის საზაფხულო სკოლა, სადაც ევროკავშირის 14 ქვეყნის 40 სტუდენტმა გაიარა ერთკვირიანი აკადემიური სასწავლო კურსი თემაზე „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“. სწავლების პერიოდში ევროპული და ქართული უნივერსიტეტების სტუდენტებმა მოისმინეს საქპატენტის ხელმძღვანელებისა და დარგობრივი სპეციალისტების ლექციები ინტელექტუალური საკუთრების ცალკეული ობიექტების სამართლებრივი დაცვისა და საერთაშორისო რეგისტრაციის მექანიზმების შესახებ.

**28**



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ცენტრალურ ოფისში იმყოფებოდნენ ELSA-ს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის საზაფხულო სკოლის მონაწილეები, რომლებმაც მოისმინეს საქპატენტის თავმჯდომარის ნიკოლოზ გოგილიძის ლექცია ორგანიზაციის საქმიანობისა და ფუნქციების შესახებ. საქპატენტში საზაფხულო სკოლის სტუდენტები, ასევე, დაესწრნენ ფორმალური ექსპერტიზის ჩატარების პროცესს და პრაქტიკულ მაგალითზე მიიღეს ინფორმაცია უწყების მუშაობის სპეციფიკის შესახებ.

**31**



„ღვინის ცივილიზაციის ცენტრში“ გაიხსნა გამოფენა „საქართველო – მეღვინეობის აკვანი“, რომლის თანაორგანიზატორი და თანადამფინანსებელი იყო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი. გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილე სოფიო მუჯირი და საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ნათია ფოფხაძე (ბორდო, საფრანგეთი).

# აგვისტო

**2**



ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი“ პოპულარიზაციის მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ – საქპატენტს, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციასა და თბილისის საკრებულოს შორის. მემორანდუმის გაფორმება მიზნად ისახავს ლიტერატურის, მუსიკის, ფერწერის, არქიტექტურისა და ხელოვნების დარგში მოღვაწე ნებისმიერი დაინტერესებული პირის კონკურსში მონაწილეობის ხელშეწყობას, მათ ჩართულობასა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას, ასევე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდას და, ზოგადად, ხელოვნების მხარდაჭერას.

**8**

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტი შედგა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უწყების ხელმძღვანელი პირებისა და უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის საქართველოში იჰორ დოლჰოვის შეხვედრა. ელჩი გაეცნო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უწყების მუშაობის სპეციფიკას, მიმდინარე პროექტებსა და პროგრამებს. მხარეებმა განიხილეს უკრაინასა და საქართველოს შორის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივები და ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები.

**17**

 

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – „საქპატენტმა“ მიმართა ევროკომისიის სოფლის მეურნეობის განვითარების დირექტორატს ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების „კახეთი“ (კახური), ასევე, ქართული ყველის გეოგრაფიული აღნიშვნის „სულგუნი“ სავარაუდო, უნებართვო გამოყენების ფაქტების აღმოფხვრის მიზნით. პოლონურ და ლატვიურ მხარეებთან დამყარებული კონტაქტის შედეგად, ამ ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მხრიდან, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების 175-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდა ადეკვატური ადმინისტრაციული ქმედებები. კერძოდ, ყველის შემთხვევაში, მოხდა ეტიკეტის შეცვლა, ღვინის პარტია კი ამოღებულ იქნა სავაჭრო ქსელიდან.

# სექტემბერი

**6**




მოლდოვას რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (AGEPI) 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილ რეგიონულ კონფერენციას „კოლექტიური მართვის ორგანიზაციების საავტორო და მომიჯნავე უფლებები და გამოწვევები“ დაესწრო, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელი. შეხვედრა მიზნად ისახავდა ევროკავშირის დირექტივის შესაბამისად მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობასა და გამოცდილების გაზიარებას (კიშინიოვი, მოლდოვა).

**6**




საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო WIPO-ს უფლებების აღსრულების საკონსულტაციო კომიტეტის 12-ე კომიტეტის სხდომაში და წარსდგა მოხსენებით თემაზე – „პატივისცემის ჩამოყალიბება ინტელექტუალური საკუთრების მიმართ და ცნობიერების ამაღლება სკოლის მოსწავლეთა შორის: საგანმანათლებლო პრიორიტეტი საქართველოში“. პრეზენტაცია ეხებოდა დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის შემუშავებულ დამატებით საკითხავ ლიტერატურას და სპეციალურ გაკვეთილებს ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ობიექტებზე. სხდომის პარალელურად, WIPO-ში გაიმართა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო წევრი ქვეყნების მიერ განხორციელებული პროექტები ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. საქპატენტმა გამოფენაზე წარადგინა საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში შექმნილი დამატებით საკითხავი ლიტერატურა: „კომპასი“, „ქოლგა“, „სარეცხი მანქანა“, „ვარსკვლავ სანთლები“ და „დორემიუს-სოლასი“ (ჟენევა, შვეიცარია).

**7**




ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა საკითხზე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო XIII საერთაშორისო სიმპოზიუმში „სამრეწველო საკუთრების როლი ინოვაციურ ეკონომიკაში. სტარტაპები და რა არის შემდეგი?“, რომელიც ჩატარდა პოლონეთის რესპუბლიკის საპატენტო უწყების, WIPO-ს, პოლონეთში ისრაელისა და აშშ-ს საელჩოებისა და პოლონეთის უნივერსიტეტების ორგანიზებით. სიმპოზიუმი მიეძღვნა ინოვაციების მენეჯმენტს. მნიშვნელოვანი აქცენტი დაეთმო სტარტაპების განვითარებას და აღინიშნა ინტელექტუალური საკუთრების განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მიმართულებით (კრაკოვი, პოლონეთი).

**12**



WIPO-ს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტისა და თურქეთის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების – თურქპატენტის ორგანიზებით, ჩატარდა გეოგრაფიული აღნიშვნების რეგიონული სიმპოზიუმი, სადაც განიხილეს წარმოშობაზე დაფუძნებული პროდუქტების სამართლებრივი დაცვის საკითხები. სიმპოზიუმის მონაწილეები ორი დღის განმავლობაში მსჯელობდნენ გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების სტრატეგიასა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სოციალურ-ეკონომიკურ გავლენებზე, გაეცნენ თურქეთისა და საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემებს და გაიზიარეს ევროკავშირის გამოცდილება გეოგრაფიული აღნიშვნების კონტროლისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის აღსრულების მიმართულებით (ტრაბზონი, თურქეთი).

---

**12**



გაიმართა ქართული და თურქული გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული პროდუქტების გამოფენა – დეგუსტაცია, სადაც გამოფენილი იყო თურქეთსა და საქართველოში დარეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები, მათ შორის, საქართველოდან სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინო, მინერალური წყალი, ყველის ნაირსახეობა, ასევე, ჩაჩა, მაწონი, ჩურჩხელა, ახალქალაქის კარტოფილი, ქუთაისის მწვანილი, ტყიბულის მთის ჩაი და მაჭახელას თაფლი. გამოფენამ ხელი შეუწყო ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების პოპულარიზაციასა და ქართული პროდუქციის ექსპორტზე გატანას (ტრაბზონი, თურქეთი).

---

**14**



„ლა სიტე დე „ვინე“-ს მუზეუმში საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თანაორგანიზატორობით და თანადაფინანსებით გაიხსნა და მუდმივ ექსპოზიციად დაიდგა ქვევრი. საქართველო პირველი მიწვეული ქვეყანა გახდა, რომელმაც მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენათა ციკლი გახსნა, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა (ბორდო, საფრანგეთი).

---

**17**




გეოგრაფიული აღნიშვნების გლობალური ალიანსის „OriGIn“ გენერალური ასამბლეის სესიაზე მოხსენებით წარსდგა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის მრჩეველი და „OriGin – საქართველოს“ დირექტორი დავით გაბუნია, რომელმაც გააცნო მონაწილეებს „OriGin – საქართველოს“ საქმიანობა და საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და უფლებების აღსრულების თავისებურებები. სესიას ესწრებოდნენ გლობალური ალიანსის „OriGIn“ 500-მდე წევრის წარმომადგენლები, მათ შორის, გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული პროდუქციის მწარმოებლები და სფეროში მოღვაწე სხვა დაინტერესებული პირები, რომლებთანაც გაიმართა შეხვედრები და სამომავლო პროექტების განხილვა (ტრევიზო, იტალია).

---

**18**



WIPO-ს აკადემიისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ორგანიზებით, საქპატენტთან არსებულ სასწავლო ცენტრში ჩატარდა ინგლისურენოვანი „სასწავლო კურსი გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“. კურსის მსვლელობისას მონაწილეებმა მოისმინეს უწყების ხელმძღვანელებისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტების ლექციები გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ, გაეცნენ სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს, დაცვის სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს და საერთაშორისო პრაქტიკას. აღნიშნული კურსი, რომელიც განკუთვნილი იყო სხვადასხვა ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისა და შესაბამისი სამინისტროების ექსპერტებისათვის, მიზნად ისახავდა დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას.

23



ქართველი მოსამართლეების მონაწილეობით შედგა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა ინტელექტუალური საკუთრების საქმეებთან დაკავშირებით“, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) და საქართველოში ამერიკის საელჩოს ორგანიზებით გაიმართა. შეხვედრაზე ამერიკელმა მოსამართლეებმა ქართველ კოლეგებს გაუზიარეს ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გამოცდილება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებულ დავებზე. ამერიკის შეერთებული შტა-ტების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს და დაეხ-მარება ქართველ მოსამართლეებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის საერთა-შორისო სტანდარტების შესაბამისად იმპლემენტაციაში (ბათუმი, საქართველო).

---

24



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამი-ნისტროს ორგანიზებით გაიმართა „მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალი 2017“, სადაც წარმოდგენილი იყო ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალი – ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევები. სკოლის მოსწავლეებისათვის თბილისსა და რეგიონებში გაიმართა სამეცნიერო პიკნიკი, სადაც ჩატარდა სახალისო გაკვეთილები ინტელექტუალური საკუთრების შესახებ. გამოგონებებისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით, გაიმართა სხვადასხვა თამაში და საინტერესო აქტივობა. შემეცნებით-გასართობი საშუალებებით მოზარდებმა მიიღეს ინფორმაცია გამოგონებებისა და ინოვაციური პროდუქტის შექმნის მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საქმეში.

---

# ოქტომბერი

2




გაიმართა WIPO-ს გენერალური ასამბლეის 57-ე სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის დელეგაციამ თავმჯდომარის ნიკოლოზ გოგილიძის ხელმძღვანელობით. გენერალური ასამბლეის სესიაზე ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის სპე-ციალური კავშირის (მადრიდის კავშირი) თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკოლოზ გოგილიძე, რომლის კანდიდატურაც ამ პოზიციაზე წარადგინა ცენტრალური ევროპის და ბალტიის სახელმწიფოთა ჯგუფმა – CEBS. აღსანიშნავია, რომ საქართველოს წარმომადგენელი პირველად თავმჯდომარეობს WIPO-ს კავშირს (ჟენევა, შვეიცარია).

---

3



გაიმართა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ოფიციალური შეხვედრა WIPO-ს გენერალურ დირექტორთან ფრენსის გარისთან. შეხვედრაზე ისაუბრეს მიმდინარე და სამომავლო პროექტების შესახებ. წარმატებულად შეფასდა ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის საქმიანობა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესი (ჟენევა, შვეიცარია).

---

4

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარე შეხვდა WIPO-ს გენერალური დირექტორის მოადგილეს ბინიინგ ვანგს. შეხვედრისას გადაწყდა, რომ საქართველო იქნება მსოფლიოს მესამე ქვეყანა, სადაც დაინერგება მადრიდის eFiling სისტემა. ამასთან, აღინიშნა, რომ WIPO გააგრძელებს საქპატენტის მხარდაჭერას, მადრიდის საქონლისა და მომსახურების პროგრამაში – MGS ჩასართავად (ჟენევა, შვეიცარია).

**5**




WIPO-ს გენერალური ასამბლეის 57-ე სესიის მიმდინარეობის დროს, საქართველოს სახელით გაიმართა მიღება – „Follow Georgia“, სადაც WIPO-ს დელეგატებს საშუალება ჰქონდათ შეეფასებინათ ქართული მუსიკალური ჯგუფის „შინი“ და თანამედროვე ქართველი ხელოვანის თამარ კვესიტაძის შემოქმედება (ჟენევა, შვეიცარია).

---

**6**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის WIPO-ს პროგრამასთან – WIPO Match მიერთების პრაქტიკული საკითხები განიხილეს WIPO-ს გენერალური დირექტორის მოადგილე მარიო მატუსთან საქართველოს დელეგაციის შეხვედრაზე (ჟენევა, შვეიცარია).

---

**6**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის დელეგაციამ გამართა შეხვედრები WIPO-ს აკადემიის დირექტორთან და სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელებთან, სადაც აღინიშნა საქპატენტთან არსებულ სასწავლო ცენტრში ჩატარებული საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ მოწინავე კურსის მნიშვნელობა და 2018 წელს მათი გამრავლების აუცილებლობა (ჟენევა, შვეიცარია).

---

**7**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარემ შეხვედრა გამართა ევროპის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე კრისტიან არჩამბოსთან, რომელზეც განიხილეს უწყებების თანამშრომლობის მიმდინარე და სამომავლო პროექტები, კერძოდ, უკვე დანერგილ EUIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების ინსტრუმენტებთან (TMview, DesignView და TMclass) ერთად, EUIPO-ს მიერ აპრობირებული ისეთი დამატებითი ინსტრუმენტების დანერგვა, როგორებიცაა: CESTO, Forecasting, Quality და სხვ. (ჟენევა, შვეიცარია).

---

**8**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარემ შეხვედრა გამართა თურქ კოლეგა ჰაბიპ ასანთან. შეხვედრისას მიმოხილულ იქნა ორ უწყებას შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები, დაისახა სამომავლო გეგმები და პერსპექტივები. ასევე, დაიგეგმა 2018 წელს, ორი მხარის ორგანიზებით, გეოგრაფიული აღნიშვნების რეგიონული სემინარის საქართველოში ჩატარება და გადაწყდა თურქეთის ინტელექტუალური საკუთრების სამაგისტრო პროგრამაში ქართველი სტუდენტების მონაწილეობისთვის ხელშეწყობის გაგრძელება.

---

**9**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარემ შეხვედრა გამართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პატენტების და სასაქონლო ნიშნების უწყების გენერალურ დირექტორთან გუნელ სევდიმალიევთან. ოფიციალური შეხვედრისას აღინიშნა ორი ქვეყნის უწყებების თანამშრომლობის მნიშვნელობა და ხელი მოეწერა მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. (ჟენევა, შვეიცარია).

---

**10**

უკრაინის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მიხაილო ტიტარჩუკსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ნიკოლოზ გოგილიძის მიერ ხელი მოეწერა მემორანდუმს – „სახელმწიფო დაწესებულების – უკრაინის ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტის, საერთაშორისო საძიებო (ISA) და წინასწარი საერთაშორისო ექსპერტიზის (IPEA) უფლებამოსილ ორგანოდ აღიარების თაობაზე“ (ჟენევა, შვეიცარია).

**16**



„საავტორო და მომიჯნავე უფლების შესახებ საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტის“ ფარგლებში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა „ციფრული და მატერიალური მეკობრეობა და მათთან ბრძოლის მეთოდები“. შეხვედრაზე, საქართველოში ციფრულ სივრცეში მეკობრეობის თემასთან დაკავშირებით მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, მოხსენებით წარსდგა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უწყების წარმომადგენელი. აღნიშნული შეხვედრა თურქეთის კულტურის სამინისტროს და თურქეთის მსოფლიო ფონდის დაფინანსებითა და ორგანიზებით მოეწყო (ალმაატა, ყაზახეთი).

---

**16**



კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენლები დაესწრნენ WIPO-სა და დიდი ბრიტანეთის საავტორო უფლებათა საბჭოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-კურსს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. განვითარებული დონის ტრენინგ-კურსი განკუთვნილი იყო განვითარებადი და ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული უწყებების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც გაეცნენ საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის ბრიტანულ, რეგიონულ და საერთაშორისო სტანდარტებს, განვითარების ისტორიასა და საავტორო და მომიჯნავე უფლებების აღსრულების სისტემას (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი).

---

**16**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა მიეცა ისარგებლოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის საპატენტო-საინფორმაციო მომსახურებით. აღნიშნული სერვისი გულისხმობს საპატენტო ძიებას საერთაშორისო კომერციული და არაკომერციული საპატენტო ბაზების, ასევე, არასაპატენტო (მაგ., სამეცნიერო) ლიტერატურის ბაზების გამოყენებით. ძიების მასალები და ანგარიშები გამომგონებლებს დაეხმარება მათი საქმიანობის სფეროში არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების გაცნობაში, საპატენტო განაცხადის მომზადებამდე მათი გამოგონების პატენტუნარიანობის წინასწარ შეფასებაში.

---

**25**



„საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, საქართველოსა და შვეიცარიის მხარეებს შორის მოლაპარაკებების მეორე რაუნდი გაიმართა. შეხვედრაზე მხარეები შეჯერდნენ პროექტის საბოლოო ტექსტზე, რომლის მიღების შემთხვევაში, ქართული გეოგრაფიული აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები ნაცვალგების წესით დაიცვება შვეიცარიის ტერიტორიაზე (ბერნი, შვეიცარია).

---

**30**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტმა აამოქმედა მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის (USS) ინსტრუმენტი, რომლის მიზანია, SP2020-ის LoA4-ის სტრატეგიული ამოცანის ფარგლებში, EUIPO-ს ინსტრუმენტების გავრცელება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებზე. აღნიშნული ინსტრუმენტი შესაძლებლობას იძლევა მონაწილე ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებებში დაინერგოს კვლევების ჩატარების ერთიანი მიდგომა.

# ნოემბერი

**1**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტი გაიმართა სამუშაო სემინარი გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ „განაცხადის განხილვა, კონტროლი და სერტიფიცირება“. სემინარი, რომელიც ჩატარდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და FAO-ს მიერ დაფინანსებული პროექტის „მდგრადი ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერა გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების გზით“ ფარგლებში, მიზნად ისახავდა გეოგრაფიული აღნიშვნის განაცხადების, სერტიფიცირებისა და კონტროლის სისტემის განხილვას შესაბამის სამთავრობო ორგანიზაციებთან და სერტიფიცირების ორგანოებთან.

**3**



გაიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებული მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ ფინალური ეტაპი და დაჯილდოების ცერემონია. კონკურსის მიზანი იყო ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მოზარდების ინტერესის გაღვივება, სწავლის დონის ამაღლების ხელშეწყობა, გამომგონებლობის ნიჭით დაჯილდოვებული მოზარდების გამოვლენა, მოსწავლეების შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების სტიმულირება. კონკურსი ტარდება 2010 წლიდან. საქპატენტი ყოველწლიურად არის ჩართული საკონკურსო კომისიის მუშაობაში და აქტიურად მონაწილეობს წარდგენილი პროექტების შეფასების პროცესში.

**6**



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის დელეგაცია დაესწრო, წლის საუკეთესო გამომგონებლების დაჯილდოების ცერემონიას, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო პლატფორმას საგამომგონებლო საქმიანობის პოპულარიზაციისა და ინტელექტუალური საკუთრებისადმი სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის (სოფია, ბულგარეთი).

**7**



გაიმართა შეხვედრა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარეს ნიკოლოზ გოგილიძესა და „მაიქროსოფთის“ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პროგრამული უზრუნველყოფის აქტივების მართვისა და შესაბამისობის დირექტორ ლორან სინიორეს შორის. შეხვედრაზე განიხილეს „მაიქროსოფთის“ მორიგი ინიციატივა – მომხმარებლებისთვის კიბერდარტყმებისგან თავის დაცვის სერვისის შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ლიცენზირებული პროდუქტის მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის დონის გაზრდას.

**13**



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო ტრენინგს სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის შესახებ. ტრენინგი მოიცავდა კორეის რესპუბლიკის სასაქონლო ნიშნების სისტემის, რეგისტრაციისთვის აუცილებელი მოთხოვნებისა და მომსახურების საკითხების გაცნობას (დეჯონი, კორეის რესპუბლიკა).

**14**



საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, გაიმართა მოლაპარაკებების პირველი რაუნდი. შეთანხმების პროექტი ითვალისწინებს მხარეების მიერ, ნაცვალგების წესით, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების აღიარებას და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად დაცვის უზრუნველყოფას, ასევე, გეოგრაფიულ აღნიშვნებსა და ადგილწარმოშობის დასახელებებზე უფლებების დაცვისა და გამოყენების საკითხებს (კიშინიოვი, მოლდოვა).

**17**



იაპონიის საპატენტო უწყების მოწვევით, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელმა გაიარა ტრენინგი, რომელიც ეხებოდა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის პროცედურებსა და არსობრივი ექსპერტიზის თავისებურებებს (ტოკიო, იაპონია).

---

**18**



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტმა, სხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან ერთად, მონაწილეობა მიიიღო ქართული სტარტაპების ასოციაციისა და Start Business Solutions-ის ორგანიზებით გამართულ გამოფენაში Start-In-Georgia – „ყველაფერი ჩემი სტარტაპისთვის“. სტარტაპებისთვის მოწყობილ ყველაზე მასშტაბურ გამოფენაზე, სადაც 30-მდე კომპანია იყო წარმოდგენილი, დამწყებ მეწარმეებს ინტელექტუალური საკუთრების დარგობრივმა სპეციალისტებმა გააცნეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობა და როლი ბიზნესის განვითარების მიმართულებით.

---

# დეკემბერი

**3**

WIPO-ს მიწვევით, ყოველწლიურ მე-4 მსოფლიო ინტერნეტ კონფერენციის ფარგლებში გამარ-თულ გლობალური ციფრული ეკონომიკის ქვე-ფორუმში მოხსენებით წარსდგა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე. დისკუსია გაიმართა თემაზე „გლობალური ტენდენციები ციფრულ ეკონომიკაში და ინტელექტუალური საკუთრების განვითარება“, მასში ინტერნეტსივრცეში მომუშავე ყველაზე მსხვილი კომპანიების მენეჯმენტი მონაწილეობდა (ვუზჰენი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა).

---

**10**



გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენლები დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო უწყების (SIPO) მიერ ორგანიზებულ აზიის რეგიონულ სემინარს თემაზე „ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტი და გამოყენება“. სემინარს ესწრებოდა აზიის 16 ქვეყნის 60-მდე წარმომადგენელი (პეკინი, ჩინეთი).

---

**12**



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების აღსრულების თემაზე საბაჟო და საგამოძიებო უწყებების წარმომადგენლებისა და მოსამართლეებისთვის. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში სასაქონლო ნიშნების კონტრაფაქციისა და საავტორო უფლებების მეკობრეობის გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებული პრაქტიკული ასპექტები და არსებული გამოწვევები. აღნიშნული შეხვედრისთვის ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა WIPO-ს სახელმძღვანელო სამართალდამცავი უწყებებისა და პროკურორებისათვის – „ინტელექტუალური საკუთრების სფეროში დანაშაულის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა“, რაც დახმარებას გაუწევს პროკურორებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში დანაშაულთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას.

---

**15**



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტი გაიმართა ჰაკათონი. 48 საათიანი მარათონის განმავლობაში მონაწილეებმა რეალობად აქციეს იდეა, რომელიც შეესაბამებოდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის თემატიკას. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ 2017 წლის თემად გამოაცხადა „ინოვაცია – ცხოვრების გაუმჯობესებისთვის“. შესაბამისად, წევრი ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებებს მიეცათ რეკომენდაცია მითითებულ თემაზე კონკურსის ჩატარების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქპატენტმა ორგანიზება გაუწია ჰაკათონის ფორმატის კონკურსის ჩატარებას, რამაც ხელი შეუწყო ახალგაზრდებში ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემის მნიშვნელობის გააზრებასა და ამ მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლებას.



# საერთაშორისო ურთიერთობები/ 2017

**თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO)**

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და ეროვნული ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების გაძლიერების, ასევე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის მუდმივი პარტნიორია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია – WIPO. 2017 წელს აღნიშნული მიზნების მისაღწევად, განხორციელდა არაერთი ერთობლივი პროექტი და ღონისძიება. მათ შორის:

- საქართველოს პირველად ეწვია WIPO-ს გენერალური დირექტორის მოადგილე ჯონ სენდეიჯი, რომელმაც გახსნა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის დაარსებიდან 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება ეკონომიკური განვითარებისთვის“. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, ჯონ სენდეიჯი ესტუმრა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – საქპატენტს, სადაც გაიმართა შეხვედრა საქპატენტის თავმჯდომარესთან ნიკოლოზ გოგილიძესთან. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს უწყებაში მიმდინარე პროცესებზე, WIPO-ს როლზე უწყების საქმიანობაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების კუთხით და დასახეს სამომავლო გეგმები.
- WIPO-ს გენერალური დირექტორის მოადგილე, ასევე, შეხვდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს თეიმურაზ მურღულიას. საუბარი შეეხო განათლების სისტემაში მიზანშეწონილი რეფორმების გატარების აუცილებლობას, რაც მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობის გაცნობას სკოლის მოსწავლეთათვის. ჯონ სენდეიჯმა დააფიქსირა WIPO-ს მზაობა საქართველოში პრიორიტეტული პროექტების ერთობლივად განხორციელებისთვის, რაც აამაღლებს საზოგადოების ცნობიერების დონეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ და ხელს შეუწყობს საქართველოში ამ სისტემის განვითარებას.
- საქპატენტმა უმასპინძლა საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფ WIPO-ს დელეგაციას მცირე და საშუალო მეწარმეთა დახმარების განყოფილების მრჩევლის თამარა ნანაიაკარას ხელმძღვანელობით. დელეგაციამ სამუშაო შეხვედრები გამართა სხვადასხვა სახელმწიფო და აგრო-სასურსათო სექტორში მოღვაწე კერძო ორგანიზაციასა და ინსტიტუტთან. შედეგად, შეაფასა საქართველოს აგრო-სასურსათო სფეროში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის წვდომისა და გამოყენების საკითხები, ასევე, ზოგადად – აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ პირთა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების დონე. შეფასება მოიცავდა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების, მათ შორის, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და აგრო-სასურსათო სექტორის არსებული სისტემის საქმიანობის პროცესებში ინტელექტუალური საკუთრების ინტეგრაციის შემაფერხებელი გარემოებების გამოვლენას. წინასწარი შეფასების შედეგად, დელეგაციამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს აგრო-სასურსათო სექტორის განვითარებაში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის როლის გაზრდას.
- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის დელეგაციამ, თავმჯდომარის ნიკოლოზ გოგილიძის ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღო WIPO-ს გენერალური ასამბლეის 57-ე სესიაში. სესიის მიმდინარეობის დროს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის სპეციალური კავშირის (მადრიდის კავშირი) თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს ინტელექტუალური უწყების ხელმძღვანელი, რომლის კანდიდატურა კავშირის თავმჯდომარის პოზიციაზე წარადგინა ცენტრალური ევროპის და ბალტიის სახელმწიფოთა ჯგუფმა (CEBS). აღსანიშნავია, რომ საქართველოს წარმომადგენელი პირველად თავმჯდომარეობდა WIPO-ს კავშირს. ასამბლეის ფარგლებში გაიმართა ნიკოლოზ გოგილიძის ოფიციალური შეხვედრა WIPO-ს გენერალურ დირექტორთან ფრენსის გარისთან. მხარეებმა ისაუბრეს მიმდინარე და სამომავლო პროექტების შესახებ. წარმატებულად შეფასდა საქპატენტის ბაზაზე შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის საქმიანობა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესი. ფრენსის გარიმ ხაზი გაუსვა საქართველოს თვალსაჩინო მიღწევებს ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარებისა და დაცვის მიმართულებით.
- უწყების ხელმძღვანელმა, ასევე, შეხვედრა გამართა WIPO-ს გენერალური დირექტორის მოადგილე ბინინგ ვანგთან. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საქართველო იქნება მესამე ქვეყანა, სადაც დაინერგება მადრიდის eFiling სისტემა. ამასთან, აღინიშნა, რომ WIPO გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას მადრიდის საქონლისა და მომსახურების პროგრამაში – MGS ჩასართავად.

- WIPO-ს პროგრამასთან – WIPO Match-ის ინტეგრაციის პრაქტიკული საკითხების განხილვა მოხდა საქპატენტის დელეგაციის შეხვედრისას WIPO-ს გენერალური დირექტორის მოადგილე მარიო მატუსთან. დელეგაციამ, ასევე, შეხვედრები გამართა WIPO-ს აკადემიის დირექტორთან და სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებთან, სადაც აღინიშნა საქპატენტთან არსებულ სასწავლო ცენტრში ჩატარებული საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ მოწინავე კურსის მნიშვნელობა და 2018 წელს მათი განმეორების აუცილებლობა (ჟენევა, შვეიცარია).
- უწყებამ წარმატებით დაასრულა WIPO-ს რეგიონული ჯგუფის CEBS კოორდინაცია, რომელსაც ახორციელებდა ერთი წლის ვადით. საქართველოს მიერ გაწეულმა საქმიანობამ მაღალი შეფასებები დაიმსახურა როგორც დელეგაციებისგან, ისე ორგანიზაციის გენერალური დირექტორისგან, რამაც WIPO-ს ფარგლებში საქართველოს დელეგაციის მოღვაწეობა თვისობრივად ახალ საფეხურზე და სხვა ხარისხობრივ კატეგორიაში გადაიყვანა. რეგიონული ჯგუფის კოორდინატორის ფუნქციებს ასრულებდა საქპატენტის სპეციალური წარმომადგენელი – საერთაშორისო ურთიერთობათა და პროექტების მართვის განყოფილების უფროსი ანა გობეჩია (ჟენევა, შვეიცარია).
- 2017 წლის განმავლობაში საქართველომ, როგორც CEBS-ის ჯგუფის კოორდინატორმა, შეიმუშავა, შეათანხმა და გაახმოვანა ჯგუფის პოზიციები. გარდა ამისა, დაიცვა ჯგუფის წევრი ქვეყნების ინტერესები WIPO-ში და საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინა ჯგუფი, რაც არაერთხელ აღინიშნა წევრი ქვეყნების, WIPO-ს სამდივნოსა და გენერალური დირექტორის მიერ. აღსანიშნავია, რომ რეგიონული კოორდინატორის ეფექტური და კონსტრუქციული მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა WIPO-ს მთელ რიგ შეუთანხმებელ საკითხებზე პროგრესის მიღწევა, მათ შორის: საპატენტო კანონის მუდმივმოქმედი კომიტეტის სამუშაო პროგრამაზე კონსენსუსი, WIPO-ს უფლებათა აღსრულების საკონსულტაციო კომიტეტის სამუშაო პროგრამის შეთანხმება, სასაქონლო ნიშნების, სამრეწველო დიზაინისა და გეოგრაფიული აღნიშვნების მუდმივმოქმედი კომიტეტის 38-ე სხდომაზე გეოგრაფიული აღნიშვნების სამუშაო პროგრამის შეთანხმება, ასევე, კონსენსუსი WIPO-ს წევრი ქვეყნების 57-ე გენერალურ ასამბლეაზე რიგ შეუთანხმებელ საკითხზე (პროგრამისა და ბიუჯეტის დამტკიცება, ტრადიციული ცოდნის, გენეტიკური რესურსებისა და ფოლკლორის კომიტეტის (IGC) მანდატის დამტკიცება, ლისაბონის კავშირის ბიუჯეტზე კონსენსუსი).
- საქართველომ ჯგუფის კოორდინატორის ფუნქცია შეასრულა 15 სხდომაზე, რეგიონული კოორდინატორის სტატუსით საქართველომ მონაწილეობა მიიღო ყველა კომიტეტის მოსამზადებელ შეხვედრაში და განახორციელა საკოორდინაციო საქმიანობა კომიტეტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე პოზიციების შესათანხმებლად, როგორც ელექტრონული კომუნიკაციის, ისე საკოორდინაციო შეხვედრების მეშვეობით. კოორდინაციის პერიოდში, საქართველომ CEBS-ის სახელით გააკეთა 150-მდე განცხადება, რომლებიც შეიმუშავა და შეათანხმა წევრ ქვეყნებთან საკოორდინაციო შეხვედრების მსვლელობისას. ასევე, WIPO-ს კავშირების ოფიცრების პოზიციებზე ჯგუფმა წარადგინა და ასამბლეამ დაამტკიცა 11 წევრი ქვეყნის კანდიდატურა, რომლებმაც წაიყვანეს შესაბამისი კავშირების სესიები. CEBS-ის ჯგუფში ჩატარებული აქტიური კონსულტაციების შედეგად მიღწეული კონსენსუსის საფუძველზე, ორი წლის ვადით WIPO-ს საკოორდინაციო კომიტეტის (CoCo) წევრად CEBS-ის 6 ქვეყანა იქნა არჩეული, ხოლო პროგრამისა და ბიუჯეტის კომიტეტის (PBC) წევრად ჯგუფის 7 სახელმწიფო. CEBS-ის ჯგუფის უკეთ წარმოჩენის მიზნით, ჯგუფმა WIPO-ს კომიტეტების თავმჯდომარეებად/ვიცე-თავმჯდომარეებად წარადგინა მოლდოვას, პოლონეთის, რუმინეთისა და საქართველოს თავმჯდომარის/ვიცე თავმჯდომარის კანდიდატურები, რომლებსაც წევრმა ქვეყნებმაც დაუჭირეს მხარი. დელეგაციების მზარდი დაინტერესების გათვალისწინებით, კოორდინაციის ფარგლებში, საქართველომ დაიწყო CEBS-ის ჯგუფის სამუშაო მეთოდების გადასინჯვა და PBC/CoCo აღმასრულებელი კომიტეტების წევრობის არჩევნების პრინციპებსა და კრიტერიუმების ჩამოყალიბებაზე მუშაობა.
- WIPO-ს აკადემიის ინტელექტუალური საკუთრების დისტანციური სწავლების ზოგადი კურსი (DL-101) ხელმისაწვდომი გახდება ქართულ ენაზეც. ამ მიზნით, 2017 წლის დასაწყისში, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან – საქპატენტთან არსებული სასწავლო ცენტრის ტრენერებისათვის ჩატარდა ტრენინგი „WIPO-ს აკადემიის ინტელექტუალური საკუთრების დისტანციური სწავლების ზოგადი კურსის DL-101 გადამუშავებისა და სწავლების შესახებ“. WIPO-ს მოწვეულმა ექსპერტმა, ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის თავისებურებების გათვალისწინებით, განიხილა კურსის მიზნების განსაზღვრისა და თემატიკის დამუშავების ასპექტები. DL-101 კურსის სწავლების მეთოდთან დაკავშირებით ტრენინგი ჩაუტარდათ ამ პროექტისთვის წინასწარ შერჩეულ ქართველ ტრენერებს, რომელთაც გადაეცემათ WIPO-ს აკადემიის აკრედიტებული ტრენერის სერტიფიკატები და მიენიჭებათ საქართველოში აღნიშნული კურსის სწავლების უფლება. DL-101 ქართული ვარიანტის შემუშავების შემდეგ, აღნიშნული კურსი განთავსდება WIPO-ს აკადემიის პლატფორმაზე და ნებისმიერი დაინტერესებული პირი შეძლებს უსასყიდლოდ გაიაროს დისტანციური კურსი ქართულ ენაზე.
- მომავალში, აღნიშნული პროექტის ანალოგიურად, იგეგმება სპეციალიზებული დისტანციური კურსების ქართული ვერსიების შემუშავება ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ობიექტებზე (სასაქონლო ნიშნების, საავტორო უფლებების, გამოგონებების და სხვ.). ამ გეგმის განსახორციელებლად, 2017 წელს საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია WIPO-ს ექსპერტი პასკალ ბერნარდონი, რომელმაც ჩაატარა ტრენერების ტრენინგი სასაქონლო ნიშნების და გეოგრაფიული აღნიშვნების კურსის შემუშავებასთან დაკავშირებით.

EUIPO
EUROPEAN UNION
INTELLECTUAL PROPERTY OFFICE

**თანამშრომლობა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან (EUIPO)**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და EUIPO-ს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, 2017 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- შედგა შეთანხმება ორ უწყებას შორის, უკვე დანერგილ EUIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების ინსტრუმენტებთან TMview, DesignView და TMclass-თან ერთად EUIPO-ს მიერ შემუშავებული დამატებითი ინსტრუმენტების, როგორიცაა – CESTO, Forecasting, Quality და სხვა ინტეგრირებაზე. ამის შესახებ შეთანხმება შედგა WIPO-ს გენერალური ასამბლეის მსვლელობისას უწყებების ხელმძღვანელი პირების შეხვედრაზე (ჟენევა, შვეიცარია);
- განხორციელდა უწყების დელეგაციის ვიზიტი EUIPO-ში, რომელიც მიზნად ისახავდა EUIPO-სა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ელექტრონული მმართველობის სისტემური განვითარებისა და ინტეგრაციის შემდეგ ეტაპს. სამი კომპონენტის (TM View, TM Class და DS View) წარმატებით ინტეგრირებამ გააჩინა დამატებით შვიდი სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტის ინტეგრირების შესაძლებლობა. დელეგაცია გაეცნო ახალი ინსტრუმენტების ტექნიკურ დეტალებს და ადგილზე შეიმუშავა სამოქმედო გეგმა (ალიკანტე, ესპანეთი).

2017 წელს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილე სოფიო მუჯირი მივლინებულ იქნა EUIPO-ში „ეროვნულ ექსპერტად“ (SNE). მისიის ფარგლებში, სოფიო მუჯირი 2 წლის განმავლობაში იმუშავებს EUIPO სააპელაციო პალატაში და, ასევე, ზედამხედველობას გაუწევს საქპატენტის მიმდინარე პროექტებს EUIPO-სთან. EUIPO-ს სააპელაციო პალატა წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც განიხილავს EUIPO-ს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სასაქონლო ნიშნების და დიზაინების რეგისტრაციის შესახებ. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებები, თავის მხრივ, საჩივრდება ევროკავშირის საერთო სასამართლოში და შემდეგ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში (ალიკანტე, ესპანეთი).



**თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან**

2017 წელს გაგრძელდა თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან. საქპატენტის სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად, საქართველოში აშშ-ს საელჩოს, აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID), აშშ-ს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტისა (G-PriED) და აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ხელშეწყობით, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ჩატარდა სემინარები ქართველი მოსამართლეებისა და ჟურნალისტებისთვის. აშშ-ს მოსამართლეებმა ქართველ კოლეგებთან განიხილეს ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გამოცდილება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებულ დავებზე. ასევე, საქპატენტის წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელეს საქპატენტის სააპელაციო პალატისა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაზე, აღნიშნულთან დაკავშირებით მოისმინეს ამერიკელი მოსამართლეების მოსაზრებები და რეკომენდაციები. ამერიკის შეერთებული შტატების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს და დაეხმარება ქართველ მოსამართლეებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად იმპლემენტაციაში.
- მთელი საქართველოს მაშტაბით საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების 2000-მდე მოსწავლეს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღესთან – 26 აპრილთან დაკავშირებით, ჩაუტარდათ სპეციალური გაკვეთილები, რომლის მიზანი იყო ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არსის და მნიშვნელობის გაცნობიერება. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტთან (USAID/G-Pried) თანამშრომლობითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, IV და V კლასების მოსწავლეთათვის სპეციალური გაკვეთილების გეგმა მე-2 წელია მუშავდება და საჯარო სკოლებს ეგზავნებათ რეკომენდაცია აღნიშნული გაკვეთილის ჩატარებაზე. სასწავლო მასალად გამოყენებულია G-Pried-ისა და საქპატენტის თანამშრომლობით შექმნილი საკითხავი წიგნები ინოვაციების შესახებ: „ქოლგა“, „სარეცხი მანქანა“ და „კომპასი“ (ავტორი: ირმა მალაციძე). თბილისის 133-ე საჯარო სკოლაში ჩატარებულ გაკვეთილებს USAID/G-Pried-ის და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია ინოვაციებისა და პატენტების შესახებ, გაეცნენ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ძირითად ფუნქციებს, შეიტყვეს, თუ რა დღეა 26 აპრილი. მათ დაურიგდათ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა გამოგონებისა და, ზოგადად, ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, რომელიც გამოიცა საქპატენტისა და G-Pried-ის თანამშრომლობის ფარგლებში.
- 2017 წელს საქპატენტმა დაგეგმა და განახორციელა რამდენიმე პროექტი ელექტრონული მართვისა და საქმისწარმოების განსავითარებლად. აპრილში დასრულდა და გაეშვა USAID-ის მიერ დაფინანსებული e-Governance პროექტი, რომელიც გულისხმობს: სრულიად ახალი მონაცემთა ბაზის შექმნასა და საქმის წარმოების ელექტრონულად განხორციელებას, მათ შორის, ახალ ვებგვერდს, რომელიც ინტეგრირებულია ახალ მონაცემთა ბაზასთან და დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონულ მოდულთან. შედეგად, საქპატენტს შესაძლებლობა მიეცა ელექტრონულად მიიღოს და დაამუშავოს განაცხადები ყველა ობიექტზე, ხოლო განმცხადებლებს – აწარმოონ განაცხადების ონლაინ მონიტორინგი.
- USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში,

გაგრძელდა HICD 2020-სთან (Human and Institutional Capacity Development) თანამშრომლობა. 2016 წლის ანგარიშის საფუძველზე, რომელიც მომზადდა საქპატენტის ადამიანური რესურსების განვითარების და საქმის წარმოების ძირითადი პროცესების დეტალური შესწავლის შედეგად, გამოვლინდა ის მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს შემდგომ განვითარებას და დახვეწას. 2017 წელს ამ კუთხით დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. პროექტის დასრულებისას, საქპატენტს ექნება გაუმჯობესებული სტანდარტული სამოქმედო პროცედურები, კადრების შეფასების, მართვის და განვითარების მექანიზმები და ინდიკატორები, ასევე, ელექტრონული დოკუმენტბრუნვისთვის გაწერილი დახვეწილი პროცესების დიაგრამები.

### საერთაშორისო თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების უწყებებთან

2017 წელს, დარგში არსებული საერთო გამოწვევების დასაძლევად, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტმა აწარმოა მოლაპარაკებები და გამართა შემდეგი სამუშაო შეხვედრები:



### თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან

- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სახელმწიფო ადმინისტრაციასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ – საქპატენტს შორის. ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების მემორანდუმს ხელი მოაწერეს ჩინეთის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე გან ლინმა და საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძემ.
- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ იანგჟოუში გამართულ გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ მსოფლიო სიმპოზიუმზე ღვინის გეოგრაფიული აღნიშვნების მენეჯმენტის შესახებ მოხსენებით წარსდგა საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილე სოფიო მუჯირი. სიმპოზიუმის ორგანიზატორები იყვნენ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO) და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობის და ვაჭრობის სახელმწიფო ადმინისტრაცია (SAIC). აღნიშნული სიმპოზიუმი მსოფლიო მასშტაბით წარმოადგენს გეოგრაფიული აღნიშვნების დარგში უმნიშვნელოვანეს მოვლენას და ტარდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. სიმპოზიუმის მიზანია ფორუმის მოწყობა იდეების გაცვლის და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აგრეთვე, სიმპოზიუმი უზრუნველყოფს ტექნიკურ წვდომას და ინფორმაციის გაზიარებას გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროში უახლესი მიღწევების შესახებ.
- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – საქპატენტსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო უწყებას SIPO-ს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, 2017 წელს განხორციელდა SIPO-ს კომისრის მოადგილის ჰე ჟემინისა და ნიკოლოზ გოგილიძის შეხვედრა, რომელზედაც მხარეებმა განიხილეს ორ უწყებას შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები, დასახეს სამომავლო გეგმები და პერსპექტივები. ხელი მოეწერა ორწლიან სამოქმედო გეგმას (2017-2018 წწ.), რომელიც ითვალისწინებს ქართული მხარის მონაწილეობას დიდი აბრეშუმის გზის ახალ პროექტში „ერთი სარტყელი – ერთი გზა“, ასევე, ჩინეთის სამთავრობო სტიპენდიის ფარგლებში, ქართველი სტუდენტების ჩართვას ინტელექტუალური საკუთრების სამაგისტრო პროგრამაში. გარდა ამისა, გამოყენებული იქნება SIPO-ს საპატენტო ძიებისა და ანალიზის სისტემა (Patent Search and Analysis System), როგორც თანამშრომლობის პლატფორმა და ინსტრუმენტი. ვიზიტის ფარგლებში, ჰე ჟემინი შეხვდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს გენადი არველაძეს და მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“. SIPO მსოფლიოში ყველაზე დიდი ეროვნული ინტელექტუალური საკუთრების უწყებაა, რომელიც, ევროპის, აშშ-ს, იაპონიისა და კორეის უწყებებთან ერთად, ინტელექტუალური საკუთრების 5 ყველაზე დიდი უწყების გაერთიანების IP5-ის წევრია. ამ მძლავრ საპატენტო ოფისთან მჭიდრო კავშირები ხელს შეუწყობს საქპატენტის საქმიანობის უკეთ წარმართვას და საქართველოს საპატენტო სისტემის განვითარებას.

TÜRK PATENT
TÜRK PATENT VE MARKA KURUMU

### თანამშრომლობა თურქეთის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და თურქეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყებას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, 2017 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- WIPO-ს გენერალური ასამბლეის დროს გაიმართა საქპატენტის თავმჯდომარის ნიკოლოზ გოგილიძისა და თურქი კოლეგის ოფიციალური შეხვედრა, რომელზეც განიხილეს ორ უწყებას შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები და დასახეს სამომავლო გეგმები. მათ შორის, გადაწყდა, რომ მხარეების ორგანიზებით 2018 წელს საქართველოში ჩატარდება გეოგრაფიული აღნიშვნების რეგიონული სემინარი. აგრეთვე, გაგრძელდება თურქეთის ინტელექტუალური საკუთრების სამაგისტრო

პროგრამაში ქართველი სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა (ჟენევა, შვეიცარია).

- საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია თურქეთის პატენტრწმუნებულთა ასოციაციის დელეგაცია. ვიზიტის ფარგლებში, თურქი პატენტრწმუნებულები შეხვდნენ ქართველ კოლეგებსა და თურქ ბიზნესმენთა ასოციაციას. ვიზიტის მიზანი იყო, საქართველოში მოქმედი თურქული ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდება მათი უფლებების შესახებ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით. შეხვედრაზე, ასევე, იმსჯელეს იმ გამოწვევებზე, რასაც თურქული ბიზნეს სექტორი აწყდება საქართველოში.
- თურქპატენტის ექსპერტთა ჯგუფი ეწვია საქართველოს, რომლებმაც გაუზიარეს სამუშაო გამოცდილება ქართველ კოლეგებს და ჩაუტარეს ტრენინგი სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზისა და დაცვის მექანიზმების შესახებ.
- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელმა, თურქპატენტის ხელშეწყობით, წარმატებით დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტში მაგისტრატურის ერთწლიანი პროგრამა (Master of Laws in Intellectual Property).

**თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, 2017 წელს საქპატენტი აქტიურად აგრძელებდა თანამშრომლობას ასევე სხვა უწყებებთანაც, კერძოდ:**

PATENT VƏ ƏMTƏƏ NİŞANLARI MƏRKƏZİ

- 2017 წელს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქპატენტსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებას შორის. ოფიციალური ცერემონია გაიმართა WIPO-ს გენერალური ასამბლეის დროს. საქპატენტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოგილიძემ და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პატენტების და სასაქონლო ნიშნების უწყების გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გუნელ სევდიმალიევამ ოფიციალური შეხვედრისას აღნიშნეს ორი ქვეყნის უწყებების თანამშრომლობის მნიშვნელობა და დასახეს სამომავლო გეგმები (ჟენევა, შვეიცარია).



- „საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, საქართველოსა და შვეიცარიის მხარეებს შორის მოლაპარაკებების მეორე რაუნდი გაიმართა. შეხვედრაზე მხარეები შეჯერდნენ პროექტის საბოლოო ტექსტზე, რომლის მიღების შემდეგ ქართული გეოგრაფიული აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები ნაცვალგების წესით დაიცვება შვეიცარიის ტერიტორიაზე. შეთანხმება, ასევე, მიმართული იქნება გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებაზე. მოლაპარაკებებში შვეიცარიის მხრიდან მონაწილეობა მიიღეს შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, ხოლო საქართველოს მხრიდან – საქპატენტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოგილიძემ, ასევე, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებმა (ბერნი, შვეიცარია).

darts-ip

- გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების პრაქტიკის საერთაშორისო მონაცემთა ბაზა „დართს-აიპთან“ (Darts ip). Darts ip უმსხვილესი კომპანიაა, რომელიც კომერციული მიზნით აგროვებს და საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს სხვადასხვა ქვეყნის უწყებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში. მემორანდუმის თანახმად, Darts ip და საქპატენტი გაცვლიან ინფორმაციას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში არსებული პრაქტიკის შესახებ. კერძოდ, საქპატენტის თანამშრომლები ავტორიზებულნი იქნებიან, უფასოდ და შეუზღუდავად გამოიყენონ Darts ip-ს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემთა ბაზა. საქპატენტი, თავის მხრივ, სისტემატურად გაუზიარებს Darts ip-ს საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამოქვეყნებულია საქპატენტის ვებგვერდზე სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებათა არქივში, რათა უზრუნველყონ მათი განთავსება საკუთარ მონაცემთა ბაზაში. გარდა ამისა, Darts ip იღებს ვალდებულებას ჩაატაროს ტრენინგები ქართველი მომხმარებლებისთვის და ქართულ ენაზე უზრუნველყოს ტრენინგის მასალა Darts ip-ს მონაცემთა ბაზის გამოყენების თაობაზე. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საქპატენტის თანამშრომლებს უკეთ გაეცნონ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში მსოფლიო პრაქტიკას, ასევე, საშუალებას მისცემს საქპატენტს საერთაშორისო მასშტაბით გააზიაროს ქართული პრაქტიკა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ (ბარსელონა, ესპანეთი).

- უკრაინის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მიხაილო ტიტარჩუკმა და ნიკოლოზ გოგილიძემ ხელი მოაწერეს მემორანდუმს – „სახელმწიფო დაწესებულების – უკრაინის ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტის, საერთაშორისო საძიებო (ISA) და წინასწარი საერთაშორისო ექსპერტიზის (IPEA) უფლებამოსილ ორგანოდ აღიარების თაობაზე“.

AGENȚIA DE STAT PENTRU PROPRIETATEA INTELECTUALĂ A REPUBLICII MOLDOVA

- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოგილიძემ სამუშაო შეხვედრები გამართა მოლდოვას ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სააგენტოს – AGEPI-ს გენერალურ დირექტორთან ოქტავიან აპოსტოლთან და უწყების სხვა წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოსა და მოლდოვას პარტნიორობა მიმართულია ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარებაზე, ორი ქვეყნის ინტერესების საერთაშორისო დონეზე დაცვასა და ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო კანონმდებლობასთან დაახლოებაზე, რაც ერთობლივი ძალისხმევით უფრო ეფექტურად და შედეგიანად მიიღწევა. შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს სამრეწველო საკუთრების ობიექტების დაცვასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები. შეფასდა საქპატენტსა და AGEPI-ს შორის თანამშრომლობის მიმდინარე ეტაპი და განისაზღვრა ორ უწყებას შორის თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები. ვიზიტის ფარგლებში საქპატენტის თავმჯდომარე, ასევე, შეხვდა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრს ედუარდ გრამას და ვაზისა და ღვინის ეროვნული სამსახურის დირექტორს გეორგ არპენტინს. შეხვედრაზე განიხილეს მოლდოვასა და საქართველოს შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შესაძლებლობა.



- საქპატენტის მიერ მომზადდა „საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთერთაღიარებისა და დაცვის შესახებ" შეთანხმების ტექსტის პროექტი, რომლის მიღების მიზნით, საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკის მხარეებს შორის გაიმართა მოლაპარაკებების პირველი რაუნდი. მოლაპარაკებებში საქართველოს მხრიდან მონაწილეობდნენ: დელეგაციის ხელმძღვანელი – საქპატენტის თავმჯდომარე, ნიკოლოზ გოგილიძე, ასევე, საქართველოს სოფლის მეურნეობის, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები. შეხვედრას მოლდოვას მხრიდან ესწრებოდნენ მოლდოვას რესპუბლიკის სახელმწიფო სააგენტოს ინტელექტუალური საკუთრების გენერალური დირექტორი ლილია ბოლოკანი და აღნიშნული სააგენტოს სხვა წარმომადგენლები, ასევე, მოლდოვას რესპუბლიკის სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. შეთანხმების პროექტი ითვალისწინებს მხარეების მიერ ნაცვალგების წესით გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნის აღიარებას და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად დაცვის უზრუნველყოფას. შეთანხმება, ასევე, მიმართულია გეოგრაფიულ აღნიშვნებსა და ადგილწარმოშობის დასახელებებზე უფლებების დაცვისა და გამოყენების საკითხების დარეგულირებაზე.
- 2017 წელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და უკრაინის, ჩეხეთის, საბერძნეთის და თურქმენეთის რესპუბლიკებს შორის გამართულ მთავრობათაშორის ეკონომიკური კომისიებისა და უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში.

# კონფერენციები/ 2017






სახელი: **„რეგიონული სიმპოზიუმი – გეოგრაფიული აღნიშვნები“**

თარიღი და ადგილი: 12-13 სექტემბერი, 2017 წელი, ტრაბზონი, თურქეთი

ორგანიზატორები: ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO), საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი, თურქეთის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყება „თურქპატენტი“

ჩატარდა საქართველოსა და თურქეთის გეოგრაფიული აღნიშვნების რეგიონული სიმპოზიუმი, რომლის მიზანი იყო ორ ქვეყანას შორის გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქტების პოპულარიზაცია და იმპორტისა და ექსპორტის წახალისება. სიმპოზიუმზე განიხილეს წარმოშობაზე დაფუძნებული პროდუქტების სამართლებრივი დაცვის საკითხები, იმსჯელეს გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების სტრატეგიაზე და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებზე. მონაწილეები გაეცნენ, ასევე, თურქეთისა და საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემებს და გაიზიარეს ევროკავშირის გამოცდილება გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების კონტროლისა და დაცვის აღსრულების მიმართულებით. სიმპოზიუმის პარალელურად გაიმართა ქართული და თურქული გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული პროდუქტების გამოფენა – დეგუსტაცია, სადაც წამოდგენილ იქნა თურქეთსა და საქართველოში დარეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები, მათ შორის: სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინო, მინერალური წყალი, ყველი, ასევე, ჭაჭა, მაწონი, ჩურჩხელა, ახალქალაქის კარტოფილი, ქუთაისის მწვანილი, ტყიბულის მთის ჩაი და მაჭახელას თაფლი.

სახელი: **„ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება ეკონომიკური განვითარებისთვის“**

თარიღი და ადგილი: 14-15 ივნისი, 2017 წელი, თბილისი, საქართველო

ორგანიზატორები: ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO), საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის დაარსებიდან 25 წლის აღსანიშნავად, სასტუმროში „ბილტმორი“ გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება ეკონომიკური განვითარებისთვის“. საიუბილეო კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის წევრები, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, ევროპის საპატენტო უწყებისა და სხვადასხვა ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებების წარმომადგენლები, ასევე, საქართველოს პატენტრწმუნებულები და კერძო სექტორის წარმომადგენლები. კონფერენციაზე იმსჯელეს ინოვაციებისა და ინტელექტუალური საკუთრების მზარდ როლზე თანამედროვე ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში და ინოვაციის ხელშეწყობის აუცილებლობაზე ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებისათვის.











სახელი: **„საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“**

თარიღი და ადგილი: 20-21 ივლისი, 2017 წელი, ბათუმი, საქართველო

ორგანიზატორები: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი, ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამა (CLDP), საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (ICC Georgia).

ჩატარდა რიგით მე-3 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“, რომელიც მიზნად ისახავდა საჯარო და კერძო სექტორის დიალოგის გაძლიერებას კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან მიმართებაში, ეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმებთან დაკავშირებით და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას. კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღეს კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებმა და სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულმა სტუმრებმა, რომლებმაც განიხილეს კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, ასევე, საქართველოს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესებას, მათ შორის, ციფრულ სამყაროში საავტორო უფლებების დაცვას. კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა კონტრაფაქციისა და მეკობრეობის, როგორც ორგანიზებული დანაშაულის კავშირებზე ტერორიზმთან, აგრეთვე, საერთაშორისო თანამშრომლობაზე კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ. აღნიშნული კონფერენცია წარმოადგენს იმ პლატფორმას, რომლის ფარგლებშიც კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები ახდენენ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში.







'17

# სასაქონლო ნიშანი

# სასაქონლო ნიშანი

სასაქონლო ნიშანზე, ექსპერტიზის პროცესის გაუმჯობესების, განაცხადის წარდგენისა და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული დამატებითი ქმედებების განხორციელების ხელშეწყობის, ასევე, უწყების საქმიანობაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიზნით, საქპატენტმა 2017 წელს განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- განხორციელდა ინტეგრირება EUIPO-ს „მომხმარებელთა შეფასებების კვლევის“ (USS) ინსტრუმენტთან. საქართველო ევროკავშირის არაწევრი მეხუთე ქვეყანაა, სადაც დაინერგა ეს ინსტრუმენტი, რომელიც დაეხმარება უწყებას მომსახურების გაუმჯობესებაში.
- მიმდინარეობდა დანერგვის პროცედურები EUIPO-ს მიერ აპრობირებულ დამატებით ინსტრუმენტებზე, როგორიც არის: HDB, CESTO, Forecasting, Quality და სხვა, რაც უფრო მოქნილსა და სწრაფს გახდის საქმისწარმოების პროცესს როგორც ექსპერტებისთვის, ისე განმცხადებლებისთვის.
- გაგრძელდა მოლაპარაკება ბაზების მისაერთებლად WIPO-ს ადმინისტრირებად პროგრამაზე – მადრიდის საქონლისა და მომსახურების მენეჯერზე (MGS), რომელიც გაუადვილებს უცხოელ და ქართველ განმცხადებლებს, როგორც საქართველოში, ისე მადრიდის სისტემის წევრ ქვეყნებში, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის პროცედურას.
- გაგრძელდა მუშაობა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სასაქონლო ნიშნების ინსტრუქციის ცვლილების პროექტზე, მათი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და ექსპერტიზის პროცედურის დახვეწის მიზნით.
- დაინერგა სასაქონლო ნიშნების ახალი მონაცემთა ბაზა, რაც უზრუნველყოფს უფრო მოქნილ სამუშაო პროცესს როგორც ექსპერტებისთვის, ისე განმცხადებლებისთვის. მომხმარებელთა დასახმარებლად შეიქმნა ელექტრონული განაცხადის წარდგენის ინსტრუქცია.
- დაიწყო მოლაპარაკებები WIPO-ს მიერ ადმინისტრირებად პროგრამაზე e-Filing, საქპატენტის მისაერთებლად, რის საშუალებითაც ქართველი მომხმარებლები შეძლებენ საერთაშორისო განაცხადის წარდგენას ელექტრონულად, რაც გაუადვილებს მათ „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის“ წევრ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნის გავრცელების პროცედურას. საქპატენტი იქნება WIPO-ს წევრი მესამე უწყება, სადაც დაინერგება მადრიდის e-Filing სისტემა.
- WIPO-სთან საკომუნიკაციოდ დაიწყო ახალი ხელსაწყო MOP-ის გამოყენება, რაც ამარტივებს WIPO-ში დოკუმენტების იდენტიფიცირების პროცესს და ხელს უწყობს სწრაფ და ეფექტურ ურთიერთობას საერთაშორისო ბიუროსთან.

გატარებული ღონისძიებების შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა შემოსული განაცხადების საერთო რაოდენობის 9%-იანი, ხოლო საერთაშორისო განაცხადების 14%-იანი ზრდა. ამასთან, ეროვნული პროცედურით შემოსული განაცხადების რაოდენობა გაიზარდა 3%-მდე. ასევე, 3%-იანი ზრდა დაფიქსირდა ადგილობრივ განაცხადებთან დაკავშირებით.

სასაქონლო ნიშნების, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო განაცხადებში, 2017 წელს, ანალოგიურად წინა წლისა, ლიდერობს განაცხადები ფარმაცევტულ პროდუქტებზე (1218), შემდეგია განაცხადები რეკლამასა და საოფისე სამსახურზე (847).

ქვეყნების მიხედვით, შემოსული განაცხადების დიდი რაოდენობა დაფიქსირდა აშშ-დან (390), რუსეთის ფედერაციიდან (381) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან (328). 2017 წელს „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, მადრიდის შეთანხმების ოქმით“ საქართველოდან საერთაშორისო ბიუროში გავრცელების მოთხოვნით გაიგზავნა 27 განაცხადი.

სასაქონლო ნიშანზე, ადგილობრივი განაცხადების რაოდენობის მიხედვით, წამყვანი კლასებია:

- მე-5 კლასი: ფარმაცევტული, ვეტერინარული, ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ. – 627 განაცხადი;
- 33-ე კლასი: ალკოჰოლიანი სასმელი (ლუდის გარდა) – 343 განაცხადი;
- 35-ე კლასი: რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში და ადმინისტრირება; საოფისე სამსახური – 387 განაცხადი.

სასაქონლო ნიშანზე ადგილობრივი და საერთაშორისო განაცხადების რაოდენობის მიხედვით, წამყვანი კლასებია:

- მე-5 კლასი: ფარმაცევტული, ვეტერინარული, ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ. – 591 განაცხადი;
- 35-ე კლასი: რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში და ადმინისტრირება; საოფისე სამსახური – 460 განაცხადი;
- მე-9 კლასი: ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა, კომპიუტერები; კომპიუტერული პროგრამები და ა.შ. – 607 განაცხადი.

| სასაქონლო ნიშანი | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული ნიშნები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2015 | 2016 | 2017 | 2015 | 2016 | 2017 |
| ეროვნული პროცედურა | ადგილობრივი | 1092 | 1478 | 1664 | 452 | 656 | 630 |
| | უცხოური | 722 | 669 | 768 | 639 | 745 | 548 |
| საერთაშორისო პროცედურა | | 3437 | 2504 | 3145 | 3278 | 3248 | 2407 |
| სულ | | 5251 | 4651 | 5577 | 4369 | 4649 | 3585 |




ეროვნული/ადგილობრივი ■ ეროვნული/უცხოური ■ საერთაშორისო

‘17

# გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება

# გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება

საქონლის ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების საზღვარგარეთ დაცვისა და მათზე უფლებების აღსრულების, ახალი პოტენციური ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოვლენის, ასევე, რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციების დახვეწისა და განახლების მიზნით, 2017 წელს საქპატენტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- გაგრძელდა მოლაპარაკებები ევროკავშირის მხარესთან, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების XVII-C და XVII-D დანართებში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერაზე, რაც ითვალისწინებს მხარეთა მიერ ნაცვალგების წესით დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების სიების განახლებას. აღნიშნულ შეთანხმებაზე ხელმოწერის შედეგად, ევროკავშირის ტერიტორიაზე დამატებით დაიცვება ოთხი ახალი ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა: „ტყიბულის ჩაი“, „მაჭახელას თაფლი“, „ქუთაისის მწვანილი“ და „ახალქალაქის კარტოფილი“;
- შეიცვალა რეგისტრირებული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების „ხვანჭკარა“ წარმოების სპეციფიკაცია. სპეციფიკაციაში ცვლილება განპირობებულია, „ვაზისა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებებით და, ასევე, მისი თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების აუცილებლობით.
- დაიწყო ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების „ხაშმის საფერავი“ რეგისტრაციის პროცედურა. აღნიშნული დასახელების დაცვის მიზანია ღვინის „ხაშმის საფერავის“ განსაკუთრებული თვისობრიობისა და მაღალი რეპუტაციის ხაზგასმა;
- წარმატებით დასრულდა სამართლებრივი დავა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ჩინეთის სასაქონლო ნიშნების უწყების მიერ ქართული მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე „ნაბეღლავი“ მიღებულ იქნა წინასწარი გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ;
- შვეიცარიის კონფედერაციასთან გაიმართა მოლაპარაკებების ორი რაუნდი „საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებების და წარმოშობის წყაროს აღნიშვნის ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით. ანალოგიური შინაარსის შეთანხმებაზე მოლაპარაკებები გაიმართა, ასევე, მოლდოვას რესპუბლიკის მხარესთან.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად, საქპატენტის მიერ გაიცა საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების უფლება შემდეგ ობიექტებზე, რომლებშიც ტრადიციულად ლიდერობს ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები:

- „ქინძმარაული“, „მუკუზანი“, „ახაშენი“, „წინანდალი“ და „ხვანჭკარა“ – თითოეულზე 3-3 მოწმობა;
- „ვაზისუბანი“, „კახეთი“, „ნაფარეული თეთრი“, „ნაფარეული წითელი“ და „გურჯაანი“ – 2-2 მოწმობა;
- „მიტარბი“, „ბორჯომი“, „მანავი“, „ტვიში“, „ყვარელი“, „ჭაჭა“, „ნაბეღლავი“, „საირმე“ და „სულგუნი“ – თითო-თითო მოწმობა.

2017 წელს „ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე, საქართველოზე ადგილწარმოშობის დასახელებების გავრცელების მოთხოვნით, შემოვიდა მხოლოდ სამი განაცხადი: სლოვაკეთის რესპუბლიკიდან (მე-14 კლასი: ძვირფასი ქვები), იტალიის რესპუბლიკიდან (33-ე კლასი: ღვინო) და მექსიკიდან (31-ე კლასი: კაკაო).

| გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული დასახელებები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2015 | 2016 | 2017 | 2015 | 2016 | 2017 |
| ეროვნული პროცედურა | გეოგრაფიული აღნიშვნა | 4 | 0 | 0 | 4 | 4 | 0 |
| | ადგილწარმოშობის დასახელება | 0 | 0 | 1 | 5 | 0 | 0 |
| საერთაშორისო პროცედურა (ლისაბონის შეთანხმება) | | 64 | 50 | 3 | 33 | 53 | 31 |
| ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება | | 52 | 45 | 34 | 47 | 36 | 34 |



‘17

# დიზაინი

# დიზაინი

დიზაინის სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობის კუთხით საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლების, ასევე, დიზაინის განაცხადის წარდგენასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების დახვეწის, გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საქპატენტის მიერ 2017 წელს განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

- ამუშავდა ახალი მონაცემთა ბაზა, რის საშუალებითაც დაინერგა დიზაინის განაცხადების ელექტრონული წარდგენა. ამასთან, მისი ამუშავება უზრუნველყოფს განმცხადებლებისათვის განაცხადის წარდგენისა და საქპატენტთან ურთიერთობის გამარტივებას, ხოლო ექსპერტებისათვის – მოქნილ და გაუმჯობესებულ სამუშაო პროცესს;
- გაგრძელდა მუშაობა „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონისა და დიზაინის ინსტრუქციის ცვლილების პროექტზე, მათი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და ექსპერტიზის პროცედურის დახვეწის მიზნით.

2017 წელს დაფიქსირდა ეროვნული პროცედურით შემოტანილი დიზაინის განაცხადების რაოდენობის მკვეთრი ზრდა (90%-ით), რაც საქართველოს მოსახლეობის ინტელექტუალური საკუთრების აღნიშნული ობიექტით დაინტერესების ზრდაზე მიუთითებს. განაცხადების რაოდენობის გაზრდა განაპირობა, ასევე, მათი ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობამაც, რასაც 2017 წლის მაისში ამოქმედებული ახალი პროგრამა იძლევა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამის ამოქმედების შემდეგ შემოტანილი განაცხადების 48% ელექტრონულადაა წარდგენილი. ასევე, მოიმატა თითოეულ განაცხადში შემავალი დიზაინების რაოდენობამაც. აღნიშნულ წელს შემოტანილი 78 განაცხადი, ჯამში, 501 დიზაინს შეიცავს, რაც საშუალოდ ერთ განაცხადში შვიდამდე დიზაინს მოიაზრებს, ნაცვლად გასული წლებისა, როდესაც ერთი განაცხადი საშუალოდ სამ დიზაინს შეიცავდა.

შემოსულ ეროვნულ განაცხადებში, დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისად, რაოდენობის მიხედვით წამყვანი კლასებია:

- მე-9 კლასი: ტარა;
- მე-7 კლასი: საოჯახო ნივთები;
- 32-ე კლასი: გრაფიკული სიმბოლოები;
- მე-11 კლასი: დეკორატიული ნაკეთობები;
- მე-19 კლასი: ნაბეჭდი პროდუქცია.

საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე, 2017 წელს მიღებულია 174 განაცხადი, რომლებიც ჯამში 642 დიზაინს შეიცავს. ამ განაცხადების პრიორიტეტული დაცვის ობიექტებად კვლავ რჩება საათები და ტარა, თუმცა, მოიმატა სამოსის, სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების დიზაინების რაოდენობამ. კვლავ აქტიურობენ განმცხადებლები შვეიცარიის კონფედერაციიდან (66), საფრანგეთიდან (32) და იტალიიდან (20). 6-6 განაცხადი წარდგენილია იაპონელი და ამერიკელი განმცხადებლების მიერ.

| დიზაინი | | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული განაცხადები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2015 | 2016 | 2017 | 2015 | 2016 | 2017 |
| ეროვნული პროცედურა | ადგილობრივი | იურიდიული პირი | 20 | 9 | 16 | 12 | 18 | 9 |
| | | ფიზიკური პირი | 33 | 30 | 51 | 29 | 14 | 32 |
| | უცხოური | | 13 | 2 | 11 | 13 | 4 | 4 |
| საერთაშორისო პროცედურა | | | 262 | 232 | 174 | 234 | 231 | 121 |
| **სულ** | | | **328** | **273** | **252** | **288** | **267** | **166** |



'17

# გამოგონება

# გამოგონება

გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, განაცხადის წარდგენასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების დახვეწის, გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საქპატენტის მიერ 2017 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ამოქმედდა განაცხადების მიღებისა და დამუშავების ახალი სისტემა, რომლის საშუალებითაც გამოგონების, სასარგებლო მოდელის და წინასწარი საპატენტო ძიების განაცხადების წარდგენა საქპატენტში ხორციელდება ონლაინ რეჟიმში.
- საქპატენტი, როგორც PCT სისტემის მიმღები უწყება (RO), ჩაერთო ePCT პლატფორმაში, რის შედეგადაც საქართველოს მოქალაქეებს და რეზიდენტებს შესაძლებლობა მიეცათ საერთაშორისო საპატენტო განაცხადი (PCT განაცხადი) საქპატენტში შეიტანონ ელექტრონულად, ePCT სისტემის გამოყენებით. აღნიშნული სისტემის საშუალებით შესაძლებელია საერთაშორისო განაცხადის შეტანა, დამუშავება, უწყებებს შორის გადაგზავნა და განმცხადებელთან კომუნიკაცია ელექტრონულ ფორმატში.
- წინასწარი საპატენტო ძიების სერვისი, ხელმისაწვდომი გახდა ყველა დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული სერვისი გულისხმობს საპატენტო ძიებას საერთაშორისო კომერციული და არაკომერციული საპატენტო ბაზების, ასევე, არასაპატენტო (მაგ., სამეცნიერო) ლიტერატურის ბაზების გამოყენებით. ძიების მასალები და ანგარიშები გამომგონებლებს ეხმარება მათი საქმიანობის სფეროში არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების გაცნობაში, საპატენტო განაცხადის მომზადებამდე მათი გამოგონების პატენტუნარიანობის წინასწარ შეფასებაში და შემდგომი ნაბიჯების, მათ შორის, საპატენტო განაცხადის მომზადების და საქპატენტში წარდგენის უკეთესად დაგეგმვაში. 2017 წელს სულ ჩატარდა 25 წინასწარი ძიება.
- გაგრძელდა საქპატენტის თანამშრომლობა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან. უწყებამ მონაწილეობა მიიღო გამოყენებითი კვლევების საგრანტო კონკურსის განახლებული კონცეფციის განხილვაში და მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ კომისიის მუშაობაში.
- გაგრძელდა, ასევე, საქპატენტის თანამშრომლობა ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან (GITA). უწყებამ მონაწილეობა მიიღო მცირე საგრანტო დაფინანსების საკონკურსო კომისიის მუშაობაში და რეგულარულად ატარებდა წინასწარ საპატენტო ძიებას ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოდან მიღებული პროექტებისთვის.
- საქპატენტმა მიმდინარე წელსაც მიიღო მონაწილეობა სტარტაპების კონკურსის Creative Business Cup (CBC) Georgia კომისიის მუშაობაში.

გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ განაცხადებში 2017 წელს ლიდერობს განაცხადები ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნებზე (A განყოფილება), ქიმიასა და მეტალურგიაზე (C განყოფილება). აღნიშნულ წელს ყველაზე მეტი უცხოური განაცხადი შემოვიდა აშშ-დან (44), თურქეთიდან (16) და იტალიიდან (13).

გამოგონებაზე ეროვნული განაცხადების რაოდენობის მიხედვით, წამყვანი განყოფილებებია:

- A განყოფილება: ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები – 21 განაცხადი;
- C განყოფილება: ქიმია, მეტალურგია – 16 განაცხადი;
- B განყოფილება: ტექნოლოგიური პროცესები; ტრანსპორტირება – 12 განაცხადი.

გამოგონებაზე უცხოური განაცხადების რაოდენობის მიხედვით, წამყვანი განყოფილებებია:

- A განყოფილება: ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები – 74 განაცხადი;
- C განყოფილება: ქიმია; მეტალურგია – 57 განაცხადი;
- B განყოფილება: ტექნოლოგიური პროცესები; ტრანსპორტირება – 13 განაცხადი.

სასარგებლო მოდელზე ეროვნული განაცხადების რაოდენობის მიხედვით წამყვანი განყოფილებებია:

- A განყოფილება: ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები – 34 განაცხადი;
- C განყოფილება: ქიმია; მეტალურგია – 7 განაცხადი;
- G განყოფილება: ფიზიკა – 4 განაცხადი.

| გამოგონება | | | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული პატენტები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2015 | 2016 | 2017 | 2015 | 2016 | 2017 |
| ეროვნული პროცედურა | ადგილობრივი | იურ. პირი | უნივერსიტეტები | 17 | 25 | 12 | 3 | 19 | 9 |
| | | | დანარჩენი | 2 | 6 | 5 | | | |
| | | ფიზ. პირი | | 79 | 65 | 58 | 58 | 39 | 28 |
| | უცხოური | | | 2 | 4 | 10 | 14 | 7 | 6 |
| საერთაშორისო პროცედურა | | | | 171 | 174 | 147 | 131 | 112 | 163 |
| სულ | | | | 271 | 274 | 232 | 206 | 177 | 206 |
| PCT განაცხადები/საქპატენტი – მიმღები უწყება | | | | 3 | 15 | 10 | | | |

| სასარგებლო მოდელი | | | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული პატენტები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2015 | 2016 | 2017 | 2015 | 2016 | 2017 |
| ეროვნული პროცედურა | ადგილობრივი | იურ. პირი | უნივერსიტეტები | 6 | 6 | 1 | 3 | 6 | 3 |
| | | | დანარჩენი | 0 | 7 | 4 | | | |
| | | ფიზ. პირი | | 54 | 54 | 49 | 36 | 31 | 31 |
| | უცხოური | | | 3 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 |
| საერთაშორისო პროცედურა | | | | 5 | 2 | 0 | 1 | 0 | 2 |
| სულ | | | | **68** | **70** | **57** | **41** | **38** | **37** |



‘17

# ახალი ჯიშები

# ახალი ჯიშები

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშის დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებისთვის საქპატენტის მიერ 2017 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- უწყება შეუერთდა UPOV-ის ახალ ელექტრონულ სისტემას PRISMA, რომელიც განკუთვნილია მცე-ნარეთა ახალი ჯიშების განაცხადების მომზადებისა და სასურველი ქვეყნების შესაბამის უწყებებში ელექტ-რონულად გადაგზავნისთვის. აღნიშნული სისტემის გამოყენებით მცენარეთა ახალი ჯიშების განაცხადების ელექტრონულად წარდგენა საქართველოს ინტელექ-ტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტი, შესაძლებელი იქნება 2018 წლიდან;
- საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო UPOV-ის ტექნიკური კომიტეტის მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების სამუშაო ჯგუფის 46-ე სესიის მუშაობაში.

2017 წელს მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშზე შემოსულია 17 განაცხადი, აქედან, 16 შემოტანილია უცხოელი განმცხადებლის მიერ, ხოლო 1 – ადგილობრივი განმცხადებლის მიერ. განაცხადების რაოდენობა კულტურების მიხედვით შემდეგია:

- ატმის ახალი ჯიში – 3 განაცხადი;
- ვაშლის ახალი ჯიში – 6 განაცხადი;
- ქლიავის ახალი ჯიში – 3 განაცხადი;
- მოცვის ახალი ჯიში – 2 განაცხადი;
- ჟოლოს ახალი ჯიში – 2 განაცხადი;
- კაკლის ახალი ჯიში – 1 განაცხადი.

აღნიშნულ წელს დარეგისტრირდა 57 მცენარის და 1 ცხოველის ახალი ჯიში და გაიცა სელექციონერის უფლების დამადასტურებელი მოწმობები 24 უცხოურ და 11 ადგილობრივ იურიდიულ პირზე, ასევე, 12 უცხოურ და 11 ადგილობრივ ფიზიკურ პირზე.

გამოიცა მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენის 13 ნომერი.

| მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული ჯიშები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2015 | 2016 | 2017 | 2015 | 2016 | 2017 |
| ადგილობრივი | იურიდიული პირი | 0 | 10 | 0 | 1 | 15 | 11 |
| | ფიზიკური პირი | 9 | 14 | 1 | 5 | 22 | 11 |
| უცხოური | იურიდიული პირი | 15 | 13 | 15 | 42 | 10 | 24 |
| | ფიზიკური პირი | 0 | 11 | 1 | 0 | 0 | 12 |
| სულ | | 24 | 48 | 17 | 48 | 47 | 58 |



'17

# საავტორო უფლებები

# საავტორო უფლებები

2017 წელს საქპატენტის მიერ განხორციელდა არაერთი ღონისძიება, რაც მიმართული იყო საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოების მიერ აღნიშნული უფლებების სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობის გააზრებისაკენ.

საანგარიშო წელს ამუშავდა ახალი მონაცემთა ბაზა, რისი საშუალებითაც დაინერგა საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების დეპონირებისათვის განცხადებების ელექტრონულად წარდგენის სისტემა, რაც უზრუნველყოფს განმცხადებლებისათვის მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებების დეპონირებისათვის საქპატენტში განცხადებების წარდგენისა და მათზე საქმის წარმოების გამარტივებას.

2017 წელს 29%-ით იმატა დეპონირებული ობიექტების რაოდენობამ, თუმცა, 2016 წლის მსგავსად, დეპონირების უმეტესი ნაწილი ეხებოდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წელს საგრძნობლად გაიზარდა კომპიუტერული პროგრამების დეპონირების რაოდენობა.

| ობიექტი | კატეგორია | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|
| ლიტერატურა | ანთოლოგია | 1 | - | - |
| | აღწერილობა | - | 1 | - |
| | დრამატურგიული ნაწარმოები | 1 | - | 2 |
| | თარგმანი | 3 | 5 | 3 |
| | კრებული | 4 | 4 | 4 |
| | ლიტერატურული ნაწარმოები | 33 | 52 | 50 |
| | მონოგრაფია | - | 1 | - |
| | მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები | - | - | 2 |
| | სინოფსისი | 5 | 9 | 9 |
| | სცენარი | 23 | 49 | 38 |
| | შედგენილი ნაწარმოები | 4 | 12 | 5 |
| | წიგნი | - | - | 9 |
| მეცნიერება | კომპიუტერული პროგრამა | 11 | 9 | 28 |
| | კრებული | - | - | 4 |
| | მეთოდური ნაშრომი | 13 | 46 | 29 |
| | მიმოხილვა | 1 | - | - |
| | მონოგრაფია | - | - | 2 |
| | რუკა | - | - | 6 |
| | სამეცნიერო ნაშრომი | 27 | 48 | 31 |
| | სამეცნიერო სტატია | 9 | 6 | 13 |
| | სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი | 14 | 25 | 5 |
| | სახელმძღვანელო | 4 | 16 | 10 |
| | შედგენილი ნაწარმოები | 6 | - | 5 |
| | წიგნი | - | - | 1 |
| მონაცემთა ბაზა | მონაცემთა ბაზა | 2 | 1 | 1 |
| | ცნობარი | - | - | - |
| ხელოვნება | ადაპტაცია | - | - | - |
| | არქიტექტურული პროექტი | 16 | 4 | 5 |
| | აუდიო-ვიზუალური ნაწარმოები | 5 | 13 | 3 |
| | აღწერილობა | - | - | - |
| | გრაფიკა | - | - | 3 |
| | დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება | - | 4 | 10 |
| | დიზაინი | 8 | 9 | 10 |
| | დრამატურგიული ნაწარმოები | - | 1 | - |
| | ესკიზი | 4 | 1 | 4 |
| | ვიდეორგოლი | - | - | 1 |
| | თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნება | 4 | 1 | - |
| | ილუსტრაცია | - | - | 4 |
| | კრებული | - | - | - |
| | ლოგო | 4 | 6 | 5 |
| | მულტიმედიური ნაწარმოები | 1 | 19 | - |
| | მუსიკალური არანჟირება | - | - | - |
| | მუსიკალური ნაწარმოები | 12 | - | 9 |
| | მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით | 15 | 14 | 11 |
| | საბაღე-საპარკო ხელოვნება | - | - | 1 |
| | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 16 | 2 | 8 |
| | ტელეფილმი | - | - | - |
| | ფერწერა | 1 | - | - |
| | ფოტოგრაფია | 5 | 2 | 4 |
| | ქანდაკება | - | 1 | 1 |
| | წიგნი | - | 2 | - |
| სულ | | 252 | 263 | 337 |



# კანონშემოქმედება და სამართალწარმოება/ 2017

2017 წლის 23 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მომზადდა საქართველოსა და ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების IV კარის მე-9 თავით (ინტელექტუალური საკუთრების უფლებები) გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად და მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ზემოაღნიშნულ შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოყვანას.

ცვლილებები განხორციელდა ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელ შემდეგ საკანონმდებლო აქტებში: „საქართველოს საპატენტო კანონი“, „საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, „საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ“, „საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, „საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ და „საქართველოს კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები, ძირითადად, დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ხელყოფის პრევენციის, აღკვეთისა და ადეკვატური სანქციების გატარების იმ სამართლებრივი მექანიზმების სრულად განსაზღვრასთან, რომელიც არ არის გათვალისწინებული დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო-სამართლებრივი კუთხით განსაკუთრებული უფლებების ეფექტურ აღსრულებას.

2017 წლის განმავლობაში საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტში კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შემდგომი დახვეწისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, შემუშავდა შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები:

- „საქართველოს კანონში სასაქონლო ნიშნების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „საქართველოს კანონში საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „საქართველოს საპატენტო კანონში“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „საქართველოს კანონში საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

აღნიშნული პროექტების შემუშავების პროცესში შედგა შეხვედრები საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის წევრებსა და პატენტრწმუნებულებსა და, ასევე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს შორის.

გასულ წლებთან შედარებით, 2017 წელსაც გაგრძელდა სააპელაციო პალატაში შემოსული სააპელაციო საჩივრების რაოდენობის კლების ტენდენცია. აღნიშნული ფაქტი, გარკვეულწილად, მეტყველებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტში წარმოებული ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესებასა და ექსპერტების კვალიფიკაციის ზრდაზე, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ექსპერტიზის უფრო მაღალი სტანდარტების დამკვიდრება.

2017 წელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან – საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში შემოვიდა 121 სააპელაციო საჩივარი, რომელთაგან უმრავლესობა (120) ეხება სასაქონლო ნიშანზე ექსპერტიზის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ექსპერტიზისა და სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით უწყების წინააღმდეგ სასამართლოში შევიდა 35 სარჩელი, რომელთაგან 1 ეხება გამოგონებას. განხილული დავებიდან 10 სარჩელზე სასამართლო წარმოება დასრულდა საქპატენტის სასარგებლოდ, ხოლო 2 – მოსარჩელის სასარგებლოდ.

| ობიექტი | | 2015 | | | | | 2016 | | | | | 2017 | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მიღებული | განხილული | დაკმაყოფილებული სრულად | დაკმაყოფილებული ნაწილობრივ | უარი ეთქვა | მიღებული | განხილული | დაკმაყოფილებული სრულად | დაკმაყოფილებული ნაწილობრივ | უარი ეთქვა | მიღებული | განხილული | დაკმაყოფილებული სრულად | დაკმაყოფილებული ნაწილობრივ | უარი ეთქვა |
| **გამოგონება** | განმცხადებელი | 1 | 1 | | | 1 | 1 | 1 | | | 1 | 1 | 1 | | | 1 |
| | III პირი | | | | | | | | | | | | | | | |
| **სასარგებლო მოდელი** | განმცხადებელი | 1 | 1 | | | 1 | | | | | | | | | | |
| | III პირი | | | | | | 1 | 1 | 1 | | | | | | | |
| **დიზაინი** | განმცხადებელი | - | - | | | | 1 | | | | 1 | | | | | |
| | III პირი | 4 | - | | | | | | | | | 1 | 1 | | | 1 |
| **სასაქონლო ნიშანი** | განმცხადებელი | 132 | 138 | 82 | 11 | 54 | 127 | 113 | 48 | 11 | 53 | 103 | 107 | 32 | 6 | 65 |
| | III პირი | 28 | 23 | 4 | 5 | 14 | 22 | 22 | 6 | 1 | 17 | 16 | 12 | 1 | - | 11 |
| **სულ** | | **176** | **173** | **86** | **17** | **70** | **152** | **137** | **55** | **12** | **70** | **121** | **121** | **33** | **6** | **77** |

# საგამომცემლო და საინფორმაციო საქმიანობა/ 2017

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის 2014-2018 წლების სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული საგამომცემლო საქმიანობის განვითარებისა და დარგობრივი ლიტერატურის გამოცემის ხელშეწყობის მიზნით, რაც ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, 2017 წელს საქპატენტში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

- გამოსაცემად მომზადდა I წიგნი „ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპები და საქართველოს პრაქტიკა“ (ავტორი – ელენე სეხნიაშვილი) სერიიდან „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები“;
- გამოიცა და გავრცელდა ბროშურები: „დიზაინი“, „სასაქონლო ნიშანი“, „გამოგონება და სასარგებლო მოდელი“, „გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება“, „მცენარისა და ცხოველის ახალი ჯიში“, „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულება“, „თქვენი ნიშნის დაცვა საზღვარგარეთ“ და „სასაქონლო ნიშანი თქვენი ბიზნესის წარმატებისთვის“, ასევე, “Georgian Grade of Wine” – სულ 5300 ცალი;
- გამოიცა საინფორმაციო ფურცლები (ე.წ. ფლაერი) ინტელექტუალური საკუთრების ხუთივე ობიექტისა და მისი რეგისტრაციის პროცედურების შესახებ – სულ 4000 ცალი;
- გამოიცა დამატებით საკითხავი ლიტერატურა სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის: „ქოლგა“, „სარეცხის მანქანა“, „კომპასი“, „ვარსკვლავ-სანთლები“ და „დორემიუს-სოლასი“ – სულ 3000 ცალი;
- გამოიცა ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების 4 სახის რუკა – სულ 800 ცალი;
- სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება და სასწავლო მასალა – სულ 5000 გვერდი;
- საქართველოს ყველის მწარმოებელთა გილდიასთან თანამშრომლობით გამოიცა 2017 წლის მაგიდის და კედლის კალენდრები – „ქართული ყველის 80 საუკუნე“ – სულ 500 ცალი.

2017 წელს საქპატენტმა გამოსცა შემდეგი რეგულარული გამოცემები:

- „სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის“ 24 ნომერი (№№1(461)-24(484)) ქართულ და ინგლისურ ენაზე, მათ შორის, ერთი სპეციალური გამოცემა;
- ორენოვანი „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენის“ 6 ნომერი (№№1(41)-13(53)), რომლებიც დაიგზავნა პროფილურ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში;
- ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა „საქპატენტის ანგარიში/2016“ – სულ 830 ეგზემპლარი;
- საგამომცემლო განყოფილებაში მომზადდა გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელების აღწერილობები და რეფერატები, მათ შორის, საერთაშორისო CD ROM დისკებზე განსათავსებლად. 2017 წელს სულ მომზადდა 362 პატენტის აღწერილობა,

2017 წელს საპატენტო ინფორმაციის ფონდის განახლების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- გრძელდება პერიოდული გამოცემების „IP World“, „WIPR World Intellectual Property Review“ და “Managing IP”-ს გამოწერა;
- გაგრძელდა საპატენტო ბიბლიოთეკის პროექტზე PATLIB-ზე მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს ფასიან მონაცემთა ბაზებზე და არასაპატენტო ლიტერატურაზე საქპატენტის ბიბლიოთეკის მომხმარებელთათვის უფასო წვდომას;
- უფასო კონსულტაცია გაეწია 1500-მდე პოტენციურ განმცხადებელს.

უწყების ეფექტური მართვისა და მომხმარებელთა მომსახურების დახვეწის მიზნით, 2017 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- დაიწყო მუშაობა პროექტზე „TM Vision“, რომელიც საშუალებას მისცემს როგორც მომხმარებლებს, ისე საქპატენტის ექსპერტებს მოახდინონ სასაქონლო ნიშნების ძიება ვიზუალური შედარების მოწინავე ტექნოლოგიით, ხელოვნური ინტელექტის მექანიზმის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უწყება იქნება მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი, რომელიც გამოიყენებს ამ საძიებო ტექნოლოგიას ექსპერტიზის ჩასატარებლად. 2017 წელს დასრულდა მოლაპარაკების პროცესი მომწოდებელ კომპანიასთან და დაიწყო განხორციელების პირველი ეტაპი.
- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, დაიწყო მუშაობა სამ პროექტზე: „MGS (Madrid Goods and Services)“, რომელიც მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს მოიძიოს საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი (ასევე, გამონაკლისების სია) WIPO-ს ვებგვერდზე სხვადასხვა და, მათ შორის, ქართულ ენაზეც. ამ პროექტის განხორციელება იქონიებს პირდაპირ კავშირს განაცხადის შევსების ხარისხის გაუმჯობესებასთან და საშუალებას მისცემს უცხოეთიდან შემოსული განაცხადის საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის ჰარმონიზებას საქპატენტში არსებულ ტერმინებთან. დანარჩენი ორი პროექტი კი საშუალებას მისცემს როგორც ადგილობრივი განაცხადის მარტივად გავრცელებას საზღვარგარეთ, ისე საერთაშორისო განაცხადის გავრცელებას საქართველოში. აღსანიშნავია, რომ პროექტების ნაწილი უკვე მზადაა და 2018 წელს დაგეგმილია ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა, ტესტირება და გაშვება.
- დაიწყო მუშაობა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის (EUIPO) სასაქონლო ნიშნების და დიზაინების სისტემების ინტეგრაციაზე. 2017 წელს დასრულდა ხარისხის მართვისა და მომხმარებლის გამოკითხვის მოდულებზე მუშაობა, დანარჩენი მოდულების ინტეგრირების პროცესი კი მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის თანახმად.

2017 წლის განმავლობაში უწყებაში შემოვიდა 5952 განაცხადი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, დიზაინზე, სასაქონლო ნიშანსა და გეოგრაფიულ აღნიშვნაზე, მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშებზე, ასევე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დეპონირებაზე. გარდა ამისა, კანცელარიამ 2017 წლის განმავლობაში დაამუშავა უწყებაში შემოსული 14687 ერთეული სხვადასხვა ტიპის კორესპონდენცია. სულ საანგარიშო პერიოდში დამუშავდა 20639 დოკუმენტი.

| ობიექტი | | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|
| გამოგონება (ეროვნული პროცედურა) | | 285 | 273 | 209 |
| გამოგონება (საერთაშორისო პროცედურა) | | 3 | 15 | 9 |
| სასარგებლო მოდელი | | 54 | 70 | 52 |
| დიზაინი | ეროვნული | 66 | 41 | 74 |
| | საერთაშორისო | 262 | 232 | 161 |
| სასაქონლო ნიშანი | ეროვნული | 1814 | 2149 | 2199 |
| | საერთაშორისო | 3437 | 2460 | 2855 |
| გეოგრაფიული აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები | საერთაშორისო | 64 | 50 | 3 |
| | გამოყენების უფლება | 52 | 45 | 37 |
| მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები | | 24 | 48 | 16 |
| საავტორო და მომიჯნავე უფლებების დეპონირება | | 252 | 363 | 337 |
| სულ | | **6313** | **5746** | **5952** |
| კორესპონდენცია | | **10986** | **11436** | **14687** |

# საზოგადოებასთან ურთიერთობა/ 2017

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სამოქმედო გეგმის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და უწყების საქმიანობის შესახებ ინფორმირების მიზნით, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, 2017 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

დღისადმი მიძღვნილ 2017 წლის კამპანიის თემატიკას „ინოვაცია – ცხოვრების გაუმჯობესებისთვის“. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, უწყებამ ორგანიზება გაუწია ჰაკათონის ფორმატის კონკურსის ჩატარებას, რამაც ხელი შეუწყო ახალგაზრდებში ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემის მნიშვნელობის გააზრებასა და ამ მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლებას.




- 2017 წელს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კამპანიის ფარგლებში, რომლის დევიზიც იყო „ინოვაცია – ცხოვრების გაუმჯობესებისთვის“, შეიქმნა და სოციალური ქსელის საშუალებით გავრცელდა ვიდეო რგოლები ცნობილი ადამიანების მონაწილეობით. ისინი საუბრობდნენ იმაზე, თუ რა სარგებლობის მომტანი იყო საზოგადოებისათვის კონკრეტული ინოვაცია (Kindle, DNA, Online banking, 4G, 3D printer, MRI, ipod, smartphone, YouTube, Tesla, Selfie stick, HD, Smartwatch), რითაც ხაზი გაესვა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობას პროგრესის ხელშეწყობისათვის. აღნიშნული კამპანიის მიზანს წარმოადგენდა ინტელექტუალური საკუთრების როლის წარმოჩენა თანამედროვე მსოფლიოში საინოვაციო საქმიანობის წახალისებისა და განვითარების საქმეში.




- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი წარსდგა სტამბულის გამოგონებების საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც წარმოდგენილი იყო 24 ქვეყნის 264 ორგანიზაცია. გამოფენის დამსწრე 4207 რეგისტრირებულ ვიზიტორს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა 324 გამოგონებას. ღონისძიება ჩატარდა თურქეთის მეცნიერების, მრეწველობისა და ტექნოლოგიების სამინისტროს და გამომგონებლების საერთაშორისო ფედერაციის პატრონაჟითა და, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა და თურქეთის საპატენტო უწყების ორგანიზებით. გამოფენაში საქპატენტის მონაწილეობის მიზანი იყო ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყნიდან – თურქეთიდან საქართველოში საპატენტო განაცხადების რაოდენობის გაზრდის ხელშეწყობა.




- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტში გაიმართა ჰაკათონი. 48 საათიანი მარათონის განმავლობაში მონაწილეებმა რეალობად აქციეს იდეა, რომელიც შეესაბამებოდა WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო




- უწყებამ მონაწილეობა მიიღო ბარსელონაში გამართულ სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაციის (INTA) ყოველწლიურ შეხვედრაში, რომელიც სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით წარმოადგენს

მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებას. 140 ქვეყნის 10000-ზე მეტი სხვადასხვა ცნობილი ბრენდების მფლობელი კომპანიების, იურიდიული კომპანიებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული უწყებების წარმომადგენლები გაეცნენ ინფორმაციას საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის საქმიანობისა და საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის არსებული სისტემისა და პროცედურების შესახებ. INTA-ს გამოფენის მიმდინარეობის დროს გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვის შესახებ.




- უწყებამ მონაწილეობა მიიღო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში (WIPO) გამართულ გამოფენაში, სადაც წარმოდგენილი იყო WIPO-ს წევრი ქვეყნების მიერ განხორციელებული პროექტები ახალგაზრდებში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტმა გამოფენაზე წარადგინა საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში შექმნილი დამატებითი საკითხავი ლიტერატურა: „კომპასი“, „ქოლგა“, „სარეცხი მანქანა“, „ვარსკვლავ სანთლები“ და „დორემიუს-სოლასი“.



- გაიმართა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის დაარსებიდან 25 წლისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება, რომელზეც 25 წლის მონაცემებზე დაყრდნობით დაჯილდოვდა ყველაზე მეტი სასაქონლო ნიშნისა და დიზაინის მფლობელი ადგილობრივი კომპანიები. საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ ყველაზე მეტი პატენტის მფლობელი გამომგონებლები და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების განაცხადების წარდგენაში ლიდერი პატენტრწმუნებულები. დამსწრე საზოგადოებას გააცნეს უწყების 25 წლიანი საქმიანობის ანგარიში. ამ პერიოდის განმავლობაში გაიცა 8621 პატენტი, დარეგისტრირდა 6000-ზე მეტი სასაქონლო ნიშანი, ასევე, 2254 განაცხადის დიზაინი, 208 ახალი ჯიში. 2017 წლის 14 ივნისის მდგომარეობით, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა 6993 საავტორო უფლების დეპონირება და დაარეგისტრირა 46 ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება.




- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად გაიმართა ღონისძიება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში, გენერალური ასამბლეის მიმდინარეობის დროს, სადაც 189 ქვეყნის 1000-მდე დელეგატი დაესწრო ქართული ჯგუფის „შინი“ კონცერტს და ქართველი მოქანდაკის თამარ კვესიტაძის ნამუშევრების გამოფენას. ღონისძიების დასასრულს, ქართული გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების პოპულარიზაციის მიზნით, გაიმართა მიღება, სადაც სტუმრებმა ქართული კერძები და ქართული ღვინო დააგემოვნეს.



- საქპატენტი იყო თანაორგანიზატორი საფრანგეთში, ღვინის ცივილიზაციის ცენტრში – ბორდოში გამართული ღონისძიების „საქართველო – მეღვინეობის აკვანი“, რომლითაც გაიხსნა მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენათა ციკლი, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ქართული ვენახების გაშენებისა და ვაზის მოვლის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით და, მეორე მხრივ, იმ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებით, რომელიც ხელს უწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და ფართო ასპარეზზე წარმოჩენას.









- უწყებამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით გამართულ „მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალი 2017“-ში, სადაც წარმოდგენილი იყო ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალი – ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევები. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გამართულ სამეცნიერო პიკნიკებზე ჩატარდა სახალისო გაკვეთილები ინტელექტუალური საკუთრების შესახებ. გამომგონებლობისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით, გაიმართა სხვადასხვა თამაში და საინტერესო აქტივობა. შემეცნებით-გასართობი საშუალებებით მოზარდებმა



მიიღეს ინფორმაცია გამოგონებისა და ინოვაციური პროდუქტის შექმნის მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საქმეში.
- ფესტივალზე საქპატენტმა მოაწყო თავისი საქმიანობის ამსახველი საპრეზენტაციო სივრცე, სადაც წარმოდგენილი იყო პუბლიკაციები, წიგნები და ბროშურები, დარიგდა ზღაპრები ინტელექტუალური საკუთრების თემაზე. გარდა ამისა, დაინტერესებულ სტუმრებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენლებმა გაუწიეს კვალიფიციური კონსულტაციები.

- ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების პოპულარიზაციასა და ქართული პროდუქციის ექსპორტზე გატანის ხელშეწყობის მიზნით, ქართული გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული პროდუქტების გამოფენა – დეგუსტაცია გაიმართა ტრაბზონში (თურქეთი), სადაც დამთვალიერებელს შეეძლო დაეგემოვნებინა საქართველოში დარეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების პროდუქტი, მათ შორის: სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინო, მინერალური წყალი და ყველი, ასევე, ჭაჭა, მაწონი, ჩურჩხელა, ახალქალაქის კარტოფილი, ქუთაისის მწვანილი, ტყიბულის მთის ჩაი და მაჭახელას თაფლი.







# ფინანსები/ 2017

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის საფინანსო დეპარტამენტმა უწყების რესურსებისა და საბიუჯეტო პროცესის მართვის, ასევე, შესყიდვების ეფექტურად ორგანიზების მიზნით, 2017 წელს განახორციელა შემდეგი აქტივობები და მიაღწია შემდეგ შედეგებს:

- საკასო შემოსავლები, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა 13.1%-ით, რაც ძირითადად განპირობებულია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობადობის ამაღლების კუთხით ჩატარებული ღონისძიებებით. ფულადი სახსრების ხარჯვით ნაწილში, ბიუჯეტით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით, მიღწეული იქნა 7.7%-ის ეკონომია ბიუჯეტის მუხლების: „საქონელი და მომსახურების" და „არაფინანსური აქტივების ზრდის" ეკონომიის ხარჯზე, რაც, თავის მხრივ, განაპირობა სახსრების ეფექტურად ხარჯვამ.
- საანგარიშო წელს გაგრძელდა უცხოურ ვალუტაში შემოსავლების ზრდის ტენდენცია.
- წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვებით მიღებული იქნა 21027 ლარის ეკონომია. სახელმწიფო შესყიდვების კანონის მოთხოვნების დაცვით განხორციელდა 1139744 ლარის ოდენობით გამარტივებული შესყიდვა (გაფორმდა 314 ხელშეკრულება), 161042 ლარის ოდენობით ელექტრონული ტენდერით შესყიდვა (გაფორმდა 16 ხელშეკრულება) და 125683 ლარის ოდენობით კონსოლიდირებული ტენდერით შესყიდვა (გაფორმდა 16 ხელშეკრულება).
- ფინანსური სახსრებიდან 49790 ლარი მიმართულ იქნა არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირის „ორიჯინ-საქართველოს" დაფინანსებაზე, რომლის საქმიანობა ითვალისწინებს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნით დაცვადი პროდუქტების გამოვლენას, მათ აღრიცხვას, სპეციფიკაციების დადგენასა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას.

**ბიუჯეტის შემოსავლები (საკასო მაჩვენებლები)**

ათასი ლარი

| # | ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი | დაზუსტებული გეგმა | საკასო შემოსავალი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | სულ შემოსავლები | შედეგი +/- |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან** | **10000,0** | **11515,1** | **0** | **11515,1** | **1515,1** |
| 1,1 | შემოსავლები არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გაწეული მომსახურებიდან | 5800,0 | 6397,0 | 0 | 6397,0 | 597,0 |
| 1,2 | შემოსავლები რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გაწეული მომსახურებიდან | 4200,0 | 5118,1 | 0 | 5118,1 | 918,1 |
| **2** | **II-შემოსავლები არაძირითადი საქმიანობიდან** | **132,1** | **114,6** | **0** | **114,6** | **-17,5** |
| 2,1 | მისაღები გრანტები | 127,1 | 104,7 | 0 | 104,7 | -22,4 |
| 2,2 | დადებითი საკურსო სხვაობა | | 9,5 | 0 | 9,5 | 9,5 |
| 1,3 | სხვა შემოსავლები არაძირითადი საქმიანობიდან | 5,0 | 0,4 | 0 | 0,4 | -4,6 |
| | **შემოსავლების ჯამი** | **10132,1** | **11629,7** | **0** | **11629,7** | **1497,6** |

**ბიუჯეტის გადასახდელები (საკასო მაჩვენებლები)**

ათასი ლარი

| ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი | დასახელება | დაზუსტებული გეგმა | საკუთარი სახსრები | საბიუჯეტო სახსრები | სულ გადახდა | შედეგი +/- |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2,1 | **შრომის ანაზღაურება** | **3039,8** | **3039,8** | **0,0** | **3039,0** | **-0,8** |
| 2.1.1.1 | თანამდებობრივი სარგო | 2493,6 | 2493,6 | 0,0 | 2492,8 | -0,8 |
| 2.1.1.1.3 | პრემია | 346,2 | 346,2 | 0,0 | 346,2 | 0,0 |
| 2.1.1.1.4 | დანამატი | 200,0 | 200,0 | 0,0 | 200,0 | **0,0** |
| **2,2** | **საქონელი და მომსახურება** | **2738,8** | **2738,8** | **0,0** | **2334,8** | **-404,0** |
| **2,6** | **გრანტი** | **324,8** | **324,8** | **0,0** | **182,6** | **-142,2** |
| **2,7** | **სოციალური უზრუნველყოფა** | **70,0** | **70,0** | **0,0** | **46,7** | **-23,3** |
| **2,8** | **სხვა ხარჯები** | **3116,6** | **3116,6** | **0,0** | **3116,6** | **0,0** |
| 2.8.2.1.15 | გადასახადები (ბიუჯეტში, კანონმდებლობით გათვალისწინებული | | | 0,0 | 3032,9 | |
| **31** | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **610,4** | **610,4** | **0,0** | **440,1** | **-170,3** |
| **33** | **ვალდებულებების კლება** | **40,0** | **40,0** | **0,0** | **12,3** | **-27,7** |
| | გადასახდელების ჯამი | 9940,4 | 9940,4 | **0,0** | 9172,1 | -768,3 |



# სტატისტიკური მონაცემები/ 2017

## სასაქონლო ნიშანი

| შემოსული განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი | 1664 |
| ეროვნული/უცხოური | 768 |
| საერთაშორისო | 3145 |
| **სულ** | **5577** |




| შემოსული განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით | |
|---|---|
| **კოდი** | **რაოდენობა** |
| GE | 1664 |
| US | 435 |
| RU | 415 |
| DE | 354 |
| CN | 334 |
| TR | 306 |
| CH | 279 |
| FR | 158 |
| IT | 146 |
| GB | 126 |
| JP | 118 |
| **სულ** | **4335** |




| შემოსული განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 5 | 1363 |
| 35 | 955 |
| 9 | 816 |
| 30 | 542 |
| 3 | 541 |
| 33 | 503 |
| 41 | 491 |
| 29 | 353 |
| 42 | 345 |
| 43 | 345 |
| 25 | 343 |
| 32 | 333 |
| 16 | 283 |
| 36 | 283 |



| რეგისტრირებული ნიშნების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი | 630 |
| ეროვნული/უცხოური | 548 |
| საერთაშორისო | 2407 |
| **სულ** | **3585** |




| რეგისტრირებული ნიშნების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით | |
|---|---|
| **კოდი** | **რაოდენობა** |
| GE | 630 |
| US | 361 |
| DE | 306 |
| TR | 260 |
| CH | 218 |
| CN | 185 |
| RU | 178 |
| **სულ** | **2138** |




| რეესტრში შეტანილი ადგილობრივი ნიშნების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 5 | 456 |
| 35 | 346 |
| 33 | 330 |
| 43 | 174 |
| 32 | 152 |
| 41 | 147 |
| 30 | 104 |
| 36 | 104 |
| 29 | 94 |
| 37 | 85 |
| 44 | 85 |




| რეგისტრირებული ნიშნების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 5 | 853 |
| 35 | 596 |
| 9 | 467 |
| 30 | 388 |
| 3 | 356 |
| 41 | 263 |
| 33 | 251 |
| 12 | 230 |
| 35 | 223 |
| 32 | 215 |



| საერთაშორისო რეგისტრაციით (მადრიდის ოქმი) გავრცელებული ადგილობრივი ნიშნები | | |
|---|---|---|
| **№** | **ნიშანი** | **მფლობელი/განმცხადებელი** |
| 1359128 | რაჭული მარანი RACHULI MARANI РАЧУЛИ МАРАНИ | შპს „ქართული ღვინის სახლი“ |
| -------- | მწირი MTSIRI МЦЫРИ | შპს „ქართული ღვინის სახლი“ |
| 1363319 | ძველი საქართველო OLD GEORGIA СТАРАЯ ГРУЗИЯ | შპს „ქართული ღვინის სახლი“ |
| --------- | ბერიკა | სს „თელიანი ველი“ |
| 1294526 | კომბინირებული ნიშანი | გიორგი ზაუტაშვილი |
| ------------ | Naniko | გიორგი ფარულავა |
| ------------ | T A G A L I | სს „თელიანი ველი“ |
| ----------- | გუგული ГУГУЛИ GUGULI | შპს „ტფილისი“ |
| ----------- | კომბინირებული ნიშანი | შპს “PARK GIDA” |
| 1365670 | კომბინირებული ნიშანი | შპს „ბადაგონი“ |
| 1349997 | კომბინირებული ნიშანი | შპს „ბადაგონი“ |
| ----------- | კომბინირებული ნიშანი | შპს „ბადაგონი“ |
| ----------- | კომბინირებული ნიშანი | შპს „ბადაგონი“ |
| 1347904 | კომბინირებული ნიშანი | შპს „ბადაგონი“ |
| ----------- | NEOS Technology to life | შპს „ნეოსი“ |
| 1327655 | კომბინირებული ნიშანი | შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ |
| ----------- | Travelphage თრეველფაგი Тревелфаг | შპს „ფეიჯ ნუტრაცევტიკალს“ |
| 1347316 | კომბინირებული ნიშანი | ქამრან ფარიზადმაშჰადი |
| ----------- | აისი АИСИ AISI | სს „თელიანი ველი“ |
| ----------- | Сагандзури Sagandzuri | ალექსანდრე ლევაკოვი |
| ----------- | Georgian Sun | შპს „ვაზისუბნის მამული“ |
| ----------- | ВЕРХОВНЫЙ | ალექსანდრე ლევაკოვი |
| 1365131 | კომბინირებული ნიშანი | შპს „ტფილისი“ |
| ----------- | Crux d'Or | ალექსანდრე ლევაკოვი |
| 1364552 | კომბინირებული ნიშანი | შპს „ვინაგორა“ |
| ----------- | კომბინირებული ნიშანი | აქციონერნოე ობშესტვო „სინერგია კაპიტალ“ |
| ----------- | კომბინირებული ნიშანი | შპს „ფასთ პლას სოლუშენს“ |

# გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება

| შემოსული განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/გეოგრაფიული აღნიშვნა | 0 |
| ეროვნული/ადგილწარმოშობის დასახელება | 1 |
| საერთაშორისო (ლისაბონის შეთანხმება) | 3 |
| ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება | 36 |
| **სულ** | **40** |




| შემოსული განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 32 | 6 |
| 29 | 1 |
| 33 | 29 |




| საერთაშორისო პროცედურით (ლისაბონის შეთანხმება) შემოსული განაცხადების რაოდენობა ქვეყნებისა და კლასების მიხედვით | | |
|---|---|---|
| **კოდი** | **კლასი** | **რაოდენობა** |
| FR | 14 | 1 |
| MX | 31 | 1 |
| IT | 33 | 1 |




| რეესტრში შეტანილი გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 29 | 2 |
| 30 | 1 |
| 31 | 1 |



| რეესტრში შეტანილი განაცხადების რაოდენობა გამოყენების უფლებაზე დასახელებების მიხედვით | |
|---|---|
| ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა | რაოდენობა |
| ქინძმარაული | 3 |
| მუკუზანი | 3 |
| ახაშენი | 3 |
| წინანდალი | 3 |
| ხვანჭკარა | 3 |
| ვაზისუბანი | 2 |
| კახეთი | 2 |
| ნაფარეული (თეთრი) | 2 |
| ნაფარეული (წითელი) | 2 |
| გურჯაანი | 1 |
| მიტარბი | 1 |
| ბორჯომი | 1 |
| მანავი | 1 |
| ტვიში | 1 |
| ყვარელი | 1 |
| ჭაჭა | 1 |
| ნაბეღლავი | 1 |
| საირმე | 1 |
| სულგუნი | 1 |




| საერთაშორისო პროცედურით (ლისაბონის შეთანხმება) რეესტრში შეტანილი ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რაოდენობა ქვეყნებისა და კლასების მიხედვით | | |
|---|---|---|
| კოდი | კლასი | რაოდენობა |
| IR | 27 | 47 |
| IT | 30 | 1 |
| IT | 33 | 26 |
| IT | 31 | 4 |
| IT | 29 | 16 |
| IR | 31 | 2 |




# დიზაინი

| შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| პროცედურა | რაოდენობა |
| ეროვნული/ადგილობრივი/იურ. პირი | 16 |
| ეროვნული/ადგილობრივი/ფიზ. პირი | 51 |
| ეროვნული/უცხოური | 11 |
| საერთაშორისო | 174 |
| **სულ** | **252** |




| შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| კლასი | რაოდენობა |
| 9 | 14 |
| 7 | 4 |
| 32 | 4 |
| 11 | 3 |
| 19 | 2 |
| 25 | 2 |
| 3 | 2 |
| 21 | 2 |
| 26 | 1 |
| 14 | 1 |
| 2 | 1 |
| 1 | 1 |
| 6 | 1 |
| 10 | 1 |
| 18 | 1 |
| 27 | 1 |



| რეესტრში შეტანილი განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ადგილობრივი | 41 |
| უცხოური | 4 |
| საერთაშორისო | 121 |
| **სულ** | **166** |




| შემოსული საერთაშორისო განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 2 | 17 |
| 3 | 6 |
| 6 | 5 |
| 7 | 5 |
| 9 | 17 |
| 10 | 51 |
| 11 | 8 |
| 12 | 22 |
| 13 | 4 |
| 14 | 4 |
| 16 | 1 |
| 19 | 3 |
| 20 | 4 |
| 21 | 3 |
| 23 | 1 |
| 24 | 5 |
| 25 | 3 |
| 26 | 10 |
| 28 | 2 |
| 32 | 3 |




| რეესტრში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 9 | 9 |
| 32 | 5 |
| 7 | 5 |
| 11 | 4 |
| 19 | 4 |
| 25 | 4 |
| 21 | 3 |
| 3 | 2 |
| 12 | 2 |



# გამოგონება

| შემოსული განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი/უნივერსიტეტები | 12 |
| ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი/სხვა | 5 |
| ეროვნული/ადგილობრივი/ ფიზ.პირი | 58 |
| ეროვნული/უცხოური | 10 |
| საერთაშორისო | 147 |
| **PCT განაცხადები/ საქპატენტი — მიმღები უწყება** | **10** |




| შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით | |
|---|---|
| **დარგი** | **რაოდენობა** |
| A | 21 |
| B | 12 |
| C | 16 |
| D | 0 |
| E | 7 |
| F | 11 |
| G | 7 |
| H | 1 |




| შემოსული უცხოური განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით | |
|---|---|
| **დარგი** | **რაოდენობა** |
| A | 74 |
| B | 13 |
| C | 57 |
| D | 0 |
| E | 5 |
| F | 3 |
| G | 4 |
| H | 1 |



| შემოსული განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით | |
|---|---|
| **კოდი** | **რაოდენობა** |
| GE | 75 |
| US | 44 |
| JP | 11 |
| TR | 16 |
| IT | 13 |
| CH | 11 |
| DE | 9 |
| DK | 7 |
| BE | 2 |
| UA | 2 |
| FR | 5 |
| NL | 5 |
| GB | 2 |
| IN | 5 |
| HU | 2 |
| დანარჩენი | 23 |
| **სულ** | **232** |




| რეესტრში შეტანილი პატენტების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი/იურ.პირი | 9 |
| ეროვნული/ადგილობრივი/ფიზ.პირი | 28 |
| ეროვნული/უცხოური | 6 |
| საერთაშორისო | 163 |
| **სულ** | **206** |




| ძალადაკარგული პატენტების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი | 35 |
| ეროვნული/უცხოური | 4 |
| საერთაშორისო | 57 |
| **სულ** | **96** |



# სასარგებლო მოდელი

| შემოსული განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი/უნივერსიტეტები | 1 |
| ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი/სხვა | 4 |
| ეროვნული/ადგილობრივი/ ფიზ.პირი | 49 |
| ეროვნული/უცხოური | 3 |
| საერთაშორისო | 0 |
| **სულ** | **57** |




| შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით | |
|---|---|
| **დარგი** | **რაოდენობა** |
| A | 34 |
| B | 3 |
| C | 7 |
| D | 0 |
| E | 2 |
| F | 2 |
| G | 4 |
| H | 2 |




| რეესტრში შეტანილი პატენტების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი | 3 |
| ეროვნული/ადგილობრივი/ ფიზ.პირი | 31 |
| ეროვნული/უცხოური | 1 |
| საერთაშორისო | 2 |
| **სულ** | **37** |



# ახალი ჯიშები

| შემოსული განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| **განმცხადებელი** | **რაოდენობა** |
| ადგილობრივი/იურ.პირი | 0 |
| ადგილობრივი/ფიზ.პირი | 1 |
| უცხოური/იურ.პირი | 15 |
| უცხოური/ფიზ.პირი | 1 |
| **სულ** | **17** |




| შემოსული განაცხადების რაოდენობა კულტურების მიხედვით | |
|---|---|
| **კულტურა** | **რაოდენობა** |
| ატამი | 3 |
| ვაშლი | 6 |
| ქლიავი | 3 |
| მოცვი | 2 |
| კაკალი | 1 |
| ჟოლო | 2 |
| **სულ** | **17** |




| რეესტრში შეტანილი ჯიშების რაოდენობა | |
|---|---|
| **განმცხადებელი** | **რაოდენობა** |
| ადგილობრივი/იურ.პირი | 11 |
| ადგილობრივი/ფიზ.პირი | 11 |
| უცხოური/იურ.პირი | 24 |
| უცხოური/ფიზ.პირი | 12 |
| **სულ** | **58** |




| რეესტრში შეტანილი ჯიშების რაოდენობა კულტურების მიხედვით | |
|---|---|
| **კულტურა** | **რაოდენობა** |
| მიწის ჭიაყელა | 1 |
| სიმინდი | 3 |
| ვაშლი | 8 |
| ატამი | 9 |
| ბალი | 4 |
| ქლიავი | 3 |
| შვრია | 1 |
| ხორბალი | 2 |
| ტრიტიკალე | 1 |
| პომიდორი | 1 |
| ოსპი | 1 |
| ნიორი | 1 |
| ნექტარინი | 5 |
| მუხუდო | 2 |
| მსხალი | 6 |
| ლობიო | 4 |
| კარტოფილი | 1 |
| თუთა | 3 |
| ხახვი | 1 |
| გარგარი | 1 |
| **სულ** | **58** |



# სამოქმედო გეგმა/ 2018

- ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლება (EUIPO, EPO, USPTO/CLDP)
- დისტანციური სწავლების კურსის (DL-101 – General Course on Intellectual Property) ქართულ ენაზე თარგმნა და ქართულენოვანი მომხმარებლისთვის შეთავაზება (WIPO)
- გეოგრაფიულ აღნიშვნებზე პროფესიული განვითარების რეგიონული პროგრამის ჩატარება (WIPO)
- მასწავლებლების გადამზადება გამომგონებლობის სწავლებაში (WIPO)
- საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება თემაზე: „ინტელექტუალური საკუთრება და განათლება“ (WIPO)
- WIPO-ს უფლებების აღსრულების კომიტეტზე მოხსენების წარდგენა „საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ“
- EUIPO-ს დახმარებით სასაქონლო ნიშნების და დიზაინების ახალი ინსტრუქციების შემუშავება
- EUIPO-ს დავების განმხილველ საბჭოსთან თანამშრომლობა
- EPO-სთან მოლაპარაკებები ვალიდაციის ხელშეკრულებაზე
- EPO-ს წევრ ქვეყნებთან ორმხრივი შეხვედრები
- ინტელექტუალური საკუთრების კურსის ჩატარება მცირე და საშუალო ბიზნესის, მკვლევარების, მეცნიერების, ადვოკატების, პატენტრწმუნებულების, მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის
- EFTA-ს წევრ ქვეყნებთან გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმებების გაფორმებაზე მოლაპარაკებები
- გეოგრაფიულ აღნიშვნებზე რეგიონალური სიმპოზიუმის გამართვა
- კონფერენციის ჩატარება თემაზე: „საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ“
- ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ქართველი და უცხოელი ავტორების წიგნების ქართულ ენაზე გამოცემა
- საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა
- სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაციის (INTA) ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობა
- გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საკითხებზე ფერმერთა, მწარმოებელთა, მომხმარებელთა, სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა (OriGIn – საქართველო)
- საქართველოს რეგიონებში პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნების გამოვლენა და მათი სამართლებრივი დაცვის ხელშეწყობა (OriGIn – საქართველო)
- გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქციის დადგენილ სპეციფიკაციებთან შესაბამისობის მრავალდონიანი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა (OriGIn – საქართველო)
- გეოგრაფიული აღნიშვნების გარშემო ფერმერთა და მეწარმეთა გაერთიანებების შექმნაში მონაწილეობა და მათ საქმიანობაში ბრენდინგის თანამედროვე ფორმების დამკვიდრების ხელშეწყობა (OriGIn – საქართველო)

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ პოლიგრაფია
0179, ქ. თბილისი, ნ. რამიშვილის ქ. №31
ტელ.: +995 32 2252533, info@sakpatenti.org.ge